ვემსახუროთ ხალხს და ქვეყანას ილიას გზით!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ილია ჭავჭავაძემ საკუთარი სიცოცხლე ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და სახელმწიფოებრივი აზროვნების განვითარებას მიუძღვნა. მისმა მოღვაწეობამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მისმა ბრძოლამ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის გაკვალა გზა, რომელსაც დღესაც მივყვებით. ილიას ნააზრევი, სულიერი საზრდო, რომელიც პოეტმა დაგვიტოვა, კვლავაც აქტუალური და სასიცოცხლოდ საჭიროა ჩვენთვის, და ასეთად დარჩება ყოველთვის.

დღეს, უდიდესი ქართველის, წმინდა ილია მართლის უკვდავი სახელი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობას, რომ განუხრელად მივსდიოთ სამშობლოს უანგარო მსახურებისა და სიმართლის გზას...

ირაკლი ღარიბაშვილი

ოთხშაბათი, 9 ნოემბერი. 2022 წ. №172 (9510) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

„ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის გამბედაობა, ამერიკელებს დაუპირისპირდეს

სიცრუეზე აგებული მედიაგაშუქების სახით, ქვეყანას ჭირს უმძიმესი სენი, თუმცა ამისგან განკურნებას გვიკრძალავენ!

„ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიების მთავარი მომხმარებელი და დამკვეთი ამერიკის საელჩოა, რომელიც თავის მთავარ შანსს სწორედ ქართული პოლიტიკის რადიკალიზაციაში ხედავს“.

იხ. 6 გვ.

სამშობლოს მშენებელი

გამოჩენილი ქართველი მეტალურგი გურამ ქაშაკაშვილი 90 წლისაა



თავადაც ფოლადისგან ჩამოსხმული

ერთადერთი, ერთადერთი, ერთადერთი...

დიახ, გურამ ქაშაკაშვილი საქართველოში ერთადერთი დირექტორია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე ჩამორჩენილი, გაჩერების პირას მისული მუნების და ხალხის მომწამლავი ჯერ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შემდეგ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიებითა და ტექნიკით, ეკონომიკური, ხარისხობრივი და ეკოლოგიური მაჩვენებლებით საბჭოთა კავშირში მეტალურგიის დარგში ერთ-ერთ მოწინავე, საჩვენებელ უნარჩენო პროდუქციის საწარმოებად გახადა.

ზესტაფონიდან რუსთავში გადმოყვანის შემდეგ, მეტალურგიული კომბინატის პერსპექტიულ განვითარებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსწორებისათვის გ. ქაშაკაშვილმა თავისი ინიციატივით შეძლო საბჭოთა ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ ტიხონოვის ჩამოყვანა რუსთავში და შავი მეტალურგიის მინისტრის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, შეიცვალა ხუთწლედით დამტკიცებული პროგრამა კოქსიქიმიური და მრძმედების წარმოების განვითარებაზე გამოყოფილი თანხებით მეტალურგიულ კომბინატში ელექტროფოლად საამქროს მშენებლობასთან ერთად, მეტალურგიის კაბდამანდებებით გარდაბნის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე ორჯერ გაიზარდა სამი სამასმეგავატიანი მე-9, მე-10 და მე-11 ენერგობლოკების, მარნეულის 500-კილოვოლტიანი სიმძლავრის ქვესადგურის მშენებლობით და მისი შეპირაპირებით აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან და ზესტაფონის კოხრის ქვესადგურთან, განხორციელდა საქართველოს ენერგოსისტემისა და თბილისის სამმხრივი კვება და სიმძლავრის მკვეთრ ზრდასთან ერთად გაიზარდა მისი მდგრადობა.

იხ. 5 გვ.

ისევ მაოხრებელი გზირის შემყურენი...

„მიშა კვდება“

2

ორასწლიან მონობაგამოვლილ და ფეიკტელევიზიებით მუდმივი ტვინის რეცხვის რეჟიმში მცხოვრები ხალხის ქვეყანაში, 15-20% გონებაარეული მოქალაქის ყოფნა ნორმალური სტატისტიკაა...

ქართული კლუბის საპროტესტო განცხადება სვენ მიქსერის ანტიქართული ანგარიშის გამო

3

ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები უკადრებელს კადრულობენ!

არ შეიძლება, ბიუჯეტის ქურდს უნოდო მედიამენეჯერი და მეცენატს - ოლიგარქი

ვაი, საცოდავო საქართველოვ!

ორასწლიან მონობაგამოვლილ და ფეიკტელევიზიებით მუდმივი ტვინის რეცხვის რეჟიმში მცხოვრები ხალხის ქვეყანაში, 15-20% გონებაარეული მოქალაქის ყოფნა ნორმალური სტატისტიკაა...

„მიშა კვდება“

ისევ მაოხრებელი გზირის შემყურენი...

ნაცმორწმუნეთა **სექტის ახალი წელთაღრიცხვის — „მიშა კვდებას“ — ოთხას მეერთე დღეს „დედა-დედოფალმა“** (ეტყობა, იმ დღეს მისი რიგი იყო) **გვაუწყა, რომ „საქართველოს გადამრჩენელ-აღმშენებლის“ ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია.** იმის წინა დღეს, ანუ **ახალი წელთაღრიცხვის მეოთხასე დღეს, მარიამ ჯიშკარიანმა გვამცნო ნეტარი მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობის „კიდევ უფრო გაუარესების“ ამბავი.** ხოლო კიდევ იმის წინა დღეს, ანუ **ახალი წელთაღრიცხვის სამას ოთხმოცდამეცხრამეტე დღეს,** ღრმადნაცმორწმუნე მხევალმა ჩვენმა, მარად ნაღვლიანმა **ხატია დეკანოიძემ, ჩვეული სიფრთხილით გაუმხილა საზოგადოებას ეს „გულის შემმკუმშველი“** და **„სულის შემძვრელი“ ინფორმაცია** და მცირე პაუზის შემდეგ, გაუთამაშებელი მღელვარებით დაამატა — **„მის სახელს ვერავინ ამოშანთავს“.**

მნიშვნელოვანია, ხალხმა იცოდეს, რომ ზემოხსენებული პაუზის დროს „ჩვენმა ხატიამ“, ჩურჩულით, **ხუთჯერ** გაიმეორა — **„პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ,..“**

სკოლაში ფიზიკის მასწავლებელი მყავდა, **„კაი ტიპი“** (ბავშვები ასე ვახასიათებდით და ასეც ვეძახდით, ზურგს უკან). ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, რომ მუდამ კოპებშეკრული სასწავლო ნაწილის გამგე, ამ ჩვენ „კაი ტიპს“, პირში წყალჩაგუბებულ კოლეგებში (საბჭოთა დრო იყო, 60-იანი წლები), **ინტრიგანად იხსენიებდა.** მხოლოდ სკოლის დამთავრების მეხუთე წლისთავზე გავიგეთ სასწავლო ნაწილის გამგის, რბილად რომ ვთქვათ, უკმაყოფილების მიზეზი.

საიუბილეო საღამოს მიწურულს, ოდნავ შემთვრალმა „კაი ტიპმა“ ასეთი რამ გვიამბო: ერთ გაზაფხულს, მაშინ მეშვიდე-მერვე კლასში იქნებოდით, ერთ-ერთ პარტიულ გაზეთში ამოვიკითხე — **„წელს ხვნა-თესვის სამუშაოები დაიწყო ერთი დღით ადრე, ვიდრე შარშან“.** რაც დედამიწა არსებობს, ხვნა-თესვა იწყება ადრეულ გაზაფხულზე და ბუნებრივია, ამ-ინდიდან გამომდინარე, ხან ერთი დღით ადრე იქნება ხოლმე და ხანაც ერთი დღით გვიანმეთქი, მაგრამ, ნურას უკაცრავად... ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ჩანდა, რომ **ინფორმაცია აშკარად პროპაგანდისტური ხასიათის იყო, ანუ წელს უფრო წინ ვართ, ვიდრე შარშანო...** ხომ გესმით, რასაც ვამბობ? — ჩვენ თავი დავუქნიეთ.

თითქოს წერამ ამიტანაო, მეორე დღეს წავედი საჯარო ბიბლიოთეკაში და **იმ გამოცემის წინა წლის ნომრებს ჩავუჯექი.** არ გამკვირვებია, რომ იმავე შინაარსის მასალას გადავაწყდი — **„ერთი დღით ადრე, ვიდრე შარშან...“** არ დავიზარე და **„გამოძიებას“ ათი-თხუთმეტი წლის სილრმეში ჩავყევი** — არანაირი განსხვავება, გარდა იმისა, რომ ერთ-ორგან ორი დღით ადრე დაწყებასაც გვაუწყებდნენ.

ჩვენი ბედნიერი სახეების შემხედვარემ, დააყოლა — ხომ მაგარია, არა?! **უფრო შორს რომ წავსულიყავი, ხვნა-თესვის ადრე დაწყების დღეების ჯამი იმ აბსურდამდე მიგვიყვანდა, რომ ახალ წელს მინდვრებში გასული ტრაქტორების გუგუნით უნდა შევგებებოდით.**

მიმიხვდი ხომ, ჩემო მკითხველო? — **ასეთ აბსურდამდეა მისული ამ ღვთისგან გარიყული საკაკაშვილის ამბავიც,** რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც აგერ **უკვე ოთხას ერთი დღეა სულ უფრო „უარესდება და უარესდება“** და, რა თქმა უნდა, **შიგადაშიგ „კვდება“ კიდეც.**

* * *

ხუმრობა კარგია, მაგრამ თუ სიფრთხილის თვალით დავაკვირდებით, **არც ისე სახუმარო პროცესთან გვაქვს საქმე.** მეათე წელი დაიწყება, რაც ამ **ორმაგი (რუსულ-ამერიკული) მოხმარების სასარგებლო იდიოტმა** დიდი „შემოქმედებითი აღტყინებით“ მოირგო „მაოხრებელი გზირის“ საძრახისი როლი და ზემოხსენებული მომხმარებლებისგან ჰეროსტრატეს კოდით მონიშნული, **თავის წილ ზიანს აყენებს ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს.**

ნაცსექტის მრავალათასიანი, გაბოროტებული მრევლის მუდმივი მობილიზაციის რეჟიმში ყოფნაზე გათვლილი „მიშა გვიშველის“ გეგმა, საქართველოში მშვიდობისა და აღმშენებლობის წინააღმდეგ მოქმედი იმ კომპლექსური გეგმის ნაწილია, რომელზეც ჩემს წერილებში არაერთხელ მისაუბრია. ორი ზესახელმწიფოს სპეცსამსახურებში შემუშავებული **„ტვინების გამორეცხვის“ პროპაგანდისტური ხერხებით დამუშავებული მასა ამა თუ იმ არეულობის ორგანიზებისთვის საუკეთესო, უცვეთი მასალაა.** ხატია დეკანოიძეს ხომ სჯერა? ასეთი ხატია დეკანოიძეები ათიათასობით გამოიჩეკა ბოლო ათწლეულებში, როგორც ჩრდილოეთის, ისე დასავლური მარკის პოლიტინკუბატორებში...

* * *

„ჩვენი ხატიას“ ხსენებამ ისევ იმ **სამასოთხმოცდამეცხრამეტე** დღესთან დამაბრუნა. გისოსებიანი პალატიდან გამოსულმა ახალი დროის ამორძალმა, მთრთოლვარე და იმავდროულად რწმენით აღვსილი ხმით „გაგვამხნევა“ — **„იგი ყოველთვის იქნება ნ ნომერთან ასოცირებული...“**

მე რომ ამათ ადგილას ვიყო, „ხალასტოი“ პატრონების ღირებულების სიტყვების სროლის პარალელურად, **ერთ საკანონმდებლო ინიციატივასაც ვაჯახებდი,** დაახლოებით ასეთი შინაარსის: **„ამოღებულ იქნეს ყველანაირი ხმარებიდან ციფრი „ნ“ და გადავიდეს მსოფლიო პოლიტიკის აღიარებული მრჩეველ-კოორდინატორის, მიხეილ სააკაშვილისა და მისი ერთგული მიმდევრების სამუდამო მფლობელობაში. ინფორმაცია, მოთხოვნის სახით, მიეწოდოს გაეროს წევრი ყველა ქვეყნის პარლამენტს.“**

რატომაც არა?! **ხომ ამოიღო ხმარებიდან „ჩიკაგო ბულზმა“ რიცხვი „23“, „ნაპოლიმ“ — „10“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“, კობი ბრაიანტის საპატივცემულოდ, „8“-ც გააუქმა და „24“-იც და ჩვენი შუქურა ვისზე ნაკლები ჯორდანი და მარადონაა?..**

ვაი, საცოდავო საქართველო, ამდენი სიგიჟეების შემხედვარე!..

ბატონი გოგი, ჩემი მეზობელი, დიდი ცოდნის და გამოცდილების მქონე ადამიანი, ცდილობს დამარწმუნოს, რომ **ორასწლიან მონობაგამოვლილ და ფეიკტელევიზიებით მუდმივი ტვინის რეცხვის რეჟიმში მცხოვრები ხალხის ქვეყანაში, 15-20% გონებაარეული მოქალაქის ყოფნა ნორმალური სტატისტიკაა...**

ეჰ,.. რა ვიცი, რა ვიცი...

ბიძინა დვალი.

06.11.2022 წ.

თამარ ჩარკვიანი: რა შუაშია ვილაცა უნიჭო ლიდერი ნიკა მელია, დათქვით დრო და „ვივამედთან“ მივიდეთ!

ოპოზიციონერი **დეპუტატი, თაკო ჩარკვიანი „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველს მოუწოდებს, რომ დათქვან დრო, რომ შეიკრიბონ კლინიკა „ვივამედთან“ და საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი გადაარჩინონ.**

ჩარკვიანის თქმით, ამისთვის სულაც არ არის საჭირო პარტიის „უნიჭო“ ლიდერი ნიკა მელია.

„ვეყრდნობი ხელისუფლების განცხადებას, განცხადება გააკეთეს, რომ არანაირი დაზიანება პრეზიდენტს არ აქვს, არის უჯანმრთელესი, არც თავის ტვინში აქვს დაზიანებები. ახლა აღმოაჩნდა უმძიმესი დაზიანებები. ეს მხოლოდ „ემპათიის“ დასკვნა არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც ვამბობ. ამიტომ, ახლა ესენი იძულებული გახდებიან... ვერ გახდებიან და შემირცხვენიხართ „ნაციონალური მოძრაობის“ პარტია და ყველა მისი ამომრჩეველი, რომ თამარ ჩარკვიანის დასაცავი გახადეთ ეს კაცი? რად გინდათ ნიკა მელია. დათქვით საათი, დრო და კეთილი ვინებოთ და „ვივამედთან“ მივიდეთ და გავჩნდეთ ყველა, რომ თავი არ მოგვეჭრას. რა შუაშია ვილაცა უნიჭო ლიდერი, ვილაც ნიკა მელია, რომელიც ჩემთვის არავინ აღარ არის საერთოდ. რა გახდა ეს ერთი დიდი აქცია იმისთვის, რომ მომაკვდავი პრეზიდენტი ცოცხალი გავიყვანოთ აქედან“?!

...დევიდ ლის განცხადებით შოკირებული არ ვარ, ბევრად უარესი გაუკეთებიათ კუბილიუსსა და ჰარცელს

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

„დევიდ ლის განცხადება სკანდალურია, თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ამ განცხადებით ვარ შოკირებული, ერთი მარტივი მიზეზის გამო, ბევრად უარესი რაღაცებიც გაუკეთებიათ, როგორც ერთს, ასევე მეორეს, ვგულისხმობ კუბილიუსსა და ჰარცელს. შესაბამისად, ჩემთვის საერთოდ არ არის გასაკვირი ის დამოკიდებულება, რაც ამ ორ ადამიანს აქვს, მათ შორის ბიზნესის დამოუკიდებლობის მიმართ. ბიზნესზე ზეწოლა, ეს იყო „ნაცმოძრაობის“ ხელწერა და მათი მეგობრები ამ ხელწერით გამოირჩევიან“, — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

უკრაინელი მილიარდერების ქონება სახელმწიფოს ხელში გადადის...

უკრაინული **მედიის ცნობით, მილიარდერებთან დაკავშირებული სტრატეგიული კომპანიები სახელმწიფო საკუთრებაში გადადის, კერძოდ საუბარია უკრაინელ მილიარდერებთან, იგორ კოლომოისკისთან, ვიაჩესლავ ბოგუსლაევთან, კონსტანტინ გრიგორშინთან და კონსტანტინ ჟევაგოსთან დაკავშირებულ მსხვილ კომპანიებზე.**

როგორც უკრაინულ მედიას ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბირჟების ეროვნულ კომისიაში განუცხადეს, 6 ნოემბერს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ **რამდენიმე კომპანიის აქციები იძულების წესით გადავიდეს სახელმწიფოს კუთვნილებაში, მათ შორის არის „უკრნაფტა“ „უკრტატნაფტა“, „მოტორ სიჩი“, „ავტოკრაზი“ და „ზაპოროჟტანსფორმატორი“.**

„უკრნაფტა“ უკრაინაში უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი კომპანიაა. მილიარდერ იგორ კოლომოისკის ამ კომპანიაში აქციების 42 პროცენტი ეკუთვნის. სახელმწიფოს კი 50 პროცენტს +1, ხოლო დანარჩენი ფასიანი ქაღალდები მინორიტარული აქციონერების ხელშია. რაც შეეხება „უკრტატნაფტას“, რომელშიც კოლომოისკის და მის პარტნიორ გენადი ბოგოლიუბოვს აქციების 60 პროცენტი აქვთ, მისი მთავარი აქტივი კრემენჩუკის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაა, რომელიც მაისში რუსული დაბომბვების შედეგად მწყობრიდან გამოვიდა.

ბოლო პერიოდამდე კომპანია „მოტორ სიჩის“ მფლობელი იყო მილიარდერი ვიაჩესლავ ბოგუსლაევი, რომელმაც 2017 წელს აქციები 56 პროცენტი ჩინურ კომპანიას მიჰყიდა. ანტიმონოპოლიური კანონის დარღვევის გამო, ეს გარიგება დაბლოკეს, შემდეგ კი ფასიანი ქაღალდები დააყადაღეს. ბოგუსლაევი წელს ოქტომბერში დააკავეს და მას სახელმწიფოს ღალატში დასდეს ბრალი.

კომპანია „ავტოკრაზი“ შედის ჯგუფ „ფინანსებსა და კრედიტში“, რომლის მფლობელიც უკრაინიდან გაქცეული ოლიგარქი კონსტანტინ ჟევაგოა. „ზაპოროჟტრანსფორმატორი“ გაკოტრებულია და მისი მფლობელი მილიარდერი კონსტანტინ გრიგორიშინია.

ქართული კლუბის საპროტესტო განცხადება სვენ მიქსერის ანტიქართული ანგარიშის გამო

ქართული კლუბი შეშფოთებულია საქართველოს მიერ ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესრულების წლიური ანგარიშის იმ შინაარსის გამო, რაც მედიით გავრცელდა.

ამოგვიწურა ყოველგვარი იმედი, რომ ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ ივნისში მიღებული სკანდალური რეზოლუცია, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ობიექტურ რეალობას დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა, გაუგებრობისა და დისკომუნიკაციის შედეგს წარმოადგენდა, არ გამოხატავდა ევროპულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ და ჯერ კიდევ არსებობდა შესაძლებლობა, ამგვარი გაუგებრობების მომავალში თავიდან ასაცილებლად.

ასეთი საიმედო მოლოდინები არარად აქცია სვენ მიქსერის მიერ მომზადებულმა ანგარიშმა, რომლის შინაარსმაც, ფოტიგებისა თუ კუბილიუსების მიერ შეტანილი ცვლილებების შედეგად, ისევ მკვეთრად ანტი-ქართული სახე მიიღო; თუკი საგარეო კომიტეტი 2 დღეში, ხოლო საბოლოოდ ევროპარლამენტის პლენარული სხდომა 21 ნოემბერს ამ სახით ანგარიშს მხარს დაუჭერეს, სრულიად აშკარა გახდება, რომ საიმედო აღარაფერია, ვინაიდან, სულ ცოტა, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასა და საქართველოს მიმართ ევროპარლამენტის ოფიციალურ პოლიტიკას შორის სრული შეუთავსებლობა და, უკვე, გამოუსწორებელი განხეთქილებაა!

ხაზგასასმელია: ამ ანგარიშში ასახულ სამ მთავარ კრიტიკულ საკითხში, რასაც ანგარიშის მხარდაჭერის შემთხვევაში საქართველოსგან დაჟინებით მოითხოვს და ამ ანგარიშის სახით უმძიმეს ზეწოლასაც გააგრძელებს ევროკავშირი (კერძოდ — რუსეთის „სანქციერება“ საქართველოს მიერ, ე.წ. დებიძინიზაცია და კრიმინალთა პოლიტპატიმრებად შერაცხვა), რაც ერთობლიობაში საქართველოს, როგორც სამართლებრივი, კონსტიტუციური, ევროპული სახელმწიფოს დესუვერენიზაციის წრეგადასულად უტიფარ მცდელობას წარმოადგენს, რაიმე კომპრომისის მიღწევა - ყოვლად შეუძლებელი და აბსოლუტურად დაუშვებელია!

ამასთან, უდავოა: ივნისის სკანდალური რეზოლუციის შემდგომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს საგარეო ასპარეზზე არაერთგზის გაუკეთებიათ ამომწურავი ახსნა-განმარტება, რითაც მკაფიოდ დაუსაბუთებიათ, რომ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისთვის დამღუპველი იქნებოდა რუსეთის „სანქციირება“ იმ სახით, რასაც ჩვენგან მოითხოვენ, ხოლო ე.წ. დებიძინიზაცია და ამის პარალელურად კრიმინალთა პოლიტპატიმრებად გამოცხადება, სამართალსა და სამართლიანობაზე ხელის აღებას ნიშნავს, რასაც ქართველი ხალხი აღარასდროს დაუშვებს! ამდენად, ნებისმიერი ევროპარლამენტარისათვის, ვისაც თვალნი ასხია საცქერლად, ყურნი სასმენელად და რაიმეს გაგების უნარი არ დაუკარგავს, უდავოდ ცხადი უნდა ყოფილიყო: ამ სახით ანგარიშის საქართველოს მიმართ მტრული ხასიათი და თუკი ის მხარდაჭერილი იქნა, დისკომუნიკაციისა თუ გაუგებრობის მიზეზი აქ არგუმენტად აღარ გამოდგება, რადგან ეს იქნება საქართველოს მიმართ უკვე მიზანმიმართული, სისტემურად მტრული მორიგი აქტი და ივნისის რეზოლუციაზე უარესი, აგრესიული ფორმით საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკური შეტევა.

ამ სახით ამგვარი ანგარიშის მხარდაჭერის შემთხვევაში, საბოლოოდ ნათელი გახდება: სრული შეუთავსებლობა და აბსოლუტური განხეთქილება არსებობს არა მხოლოდ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და ევროპარლამენტს, არამედ საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და საქართველოს მიმართ ევროკავშირის სავალალო პოლიტიკას შორის. საკითხი ასე დადგება: ან საქართველოს სუვერენიტეტი, კონსტიტუცია და სამართალი, ანუ ქართული სჯული, მაშასადამე — ჩვენი ქვეყნის უზენაესი ეროვნული ინტერესები, ანდა დღევანდელი ევროკავშირის ანტი-ქართული, მკვეთრად უსჯულო, მტრული პოლიტიკა.

ქართულ კლუბს მიაჩნია: ასეთ პირობებში, როცა საკუთარი მოკავშირეებისაგან ყოვლად მოულოდნელ, მოღალატეობრივ დარტყმას ვიღებთ, ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლებისგან განსაკუთრებულად მოითხოვება ერთიანობის შენარჩუნება, სიმტკიცე და შეუპოვრობა საქართველოს სუვერენიტეტის, კონსტიტუციისა და სამართლის, მაშასადამე — ჩვენი სჯულის დასაცავად! უნდა გვახსოვდეს, რომ სჯულის შენახვა და დაცვა ყოველი ქართველის უწინარესი პასუხისმგებლობაა ჩვენი ქვეყნის წარსული, აწმყო თუ მომავალი თაობების, თვით უფლის წინაშე!

ამასთან, განსაკუთრებულად ხაზგასასმელია:

საქართველოში დღევანდელი ევროკავშირის ანტი-ქართული პოლიტიკა აღქმული უნდა იქნეს არა საქართველოს ევროპული მისწრაფებების დასამარებად, არამედ უწინარესად იმ ანტიევროპული პოლიტიკის, რაც თავად ევროპისათვის იქცა ეგზისტენციურ საფრთხედ, შემადგენელ ნაწილად; ის ევროპა, რაც სწორედაც სამართლიანობაზე, სამართლის უზენაესობაზე, ანუ — სჯულზე დგას და რისკენაც მუდამ მიისწრაფოდა საქართველო, საუბედუროდ, სავალალოდ, თურმე სულს ღაფავს, კრახის პირასაა ევროკავშირის ბიუროკრატიაში, რადგან ევროპული პოლიტიკის ასპარეზი ფოტიგებსა თუ კუბილიუსებს — ანუ აშკარა, დაუფარავ უსჯულოებას, აქვს ოკუპირებული!

ვიმედოვნებთ და მოველით, რომ ჭეშმარიტი ევროპელები, რომლებიც სჯულზე კვლავაც ურყევად და მტკიცედ დგანან, რომელთათვისაც სამართლიანობა და სამართალის უზენაესობა, ერთა თვისუფლება და სუვერენობა, კვლავაც ძვირფასია და მას ბოლომდე დაიცავენ, საქართველოზე ამ შეტევას აღიქვამენ შეტევად ევროპაზე, წარუვალ ევროპულ ღირებულებებზე და ჩვენ კვლავაც ერთად ვიდგებით უსჯულოთაგან მთელი ევროპის, მათ შორის — რუსული ოკუპაციისგან საქართველოსა და უკრაინის, გასათავისუფლებლად!

გია ვოლსკი:

არ შეიძლება, ბიუჯეტის ქურდს უწოდო მედია-მენეჯერი და მეცენატს - ოლიგარქი

ევროპარლამენტის რეზოლუციაში უტიფარი შესწორებებია შეთავაზებული: არ შეიძლება ბიუჯეტის ქურდს უწოდო მედია-მენეჯერი და მეცენატს — ოლიგარქი, ეს იმდენად აშკარაა საზოგადოებისთვის, რომ მთავარ საფრთხეს უქმნის ჩვენს საგარეო პოლიტიკას, — ასე ეხმაურება პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი ინფორმაციას, რომ ევროპარლამენტი საქართველოს შესახებ მორიგ მკაცრ რეზოლუციას ამზადებს, რომელშიც ივანიშვილთან დაკავშირებითაც იქნება ჩანაწერი.

მისი თქმით, **ადამიანების ჯგუფი უტიფარ ფორმულირებას სთავაზობს ევროპარლამენტს და ეს ევროპის დისკრედიტაციას ახდენს საზოგადოების თვალში.** ვოლსკი აცხადებს, **რომ საზოგადოებას ხშირად უნდა შეახსენონ, რომ „კუბილიუსი და რასა იუკნევიჩიანე არ არის ევროპარლამენტი“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვოლსკი ამბობს, რომ საზოგადოებაში ევროპული კურსი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.**

ეს იმდენად აშკარაა საზოგადოებისთვის, რომ მთავარ საფრთხეს უქმნის ჩვენს საგარეო პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში (იმ პოზიციას), რა პოზიციაც აქვს სახელმწიფოს, მთავრობას, ევროინტეგრაციის პროცესს. ეჭვის ქვეშ აყენებს ამ მიმართულებას (ევროინტეგრაციას), დისკრედიტაციას უკეთებს თავად ევროპის შინაარსს, არსს, დემოკრატიულობას. ვფიქრობ, საზოგადოებას უნდა შევახსენოთ, რომ კუბილიუსი და მისი პრემიერობის დროს, თავდაცვის მინისტრი იუკნევიჩიანე არ არის ევროპარლამენტი, არ არის ევროდამოკიდებულება და ევროპის სტანდარტი, რომელსაც შეიძლება შეფასება მივცეთ ამ რაკურსით. ეს შეხსენებები ხშირად უნდა გავაკეთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი საგარეო კურსი საზოგადოებაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. კიდევ არის გარკვეული შესწორებები შეთავაზებული, რომელსაც ვერ უწოდებ უსაფუძვლოს, ეს არის უტიფარი ფორმულირებები, რომელიც უნდათ, რომ ამ რეზოლუციაში მოხვდეს“, — განაცხადა ვოლსკიმ.

ის ასევე გამოეხმაურა ევროპარლამენტარების მიმართვას მსალომე ზურაბიშვილისადმი, რომ „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია შეიწყალოს:

„ევროპარლამენტარი ეს სიტყვა არ არის მთავარი დამახასიათებელი იმ ადამიანებისა, რომლებიც სალომე ზურაბიშვილს მიმართავენ, ეს არის კონკრეტული „სახალხო პარტიის“ წევრები, რომელიც არის „ნაცმოძრაობის“ დედაპარტია და გააჩნიათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პოზიცია, რომელსაც წლების განმავლობაში ატარებენ. ხშირად ეს უპირისპირდება იმ ინტერესებს, რომელიც საქართველოს გააჩნია, მათ შორის ამ შემთხვევაშიც“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები უკადრებელს კადრულობენ!

— ძართული ოცნების მმართველობის უმთავრეს მიღწევად მივიჩნევ თავსმოხვეული „მედასავლეთეების“ გაშიშვლებას და ევროპულ სტრუძტურებში დაბუდებული ლობისტების მიმართ „თავის დახრის“ პოლიტიკის გაუძმებას.

დიახ, ეს არის მოცემულობა, რომელიც მმართველმა გუნდმა, პირველ რიგში კი მისმა დამფუძნებელმა, ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა ამ ქვეყანაში და ამ მოცემულობას თაობები დააფასებენ. წინა რეჟიმმა შექმნა ყალბი განცდა, რომ ვინც უნდა იყოს, სახელის და გვარის მიუხედავად, რასაც უნდა ამბობდეს, არ შეიძლება პასუხი გასცე ან გააკრიტიკო ევროდეპუტატი, ელჩი და ასე შემდეგ...

ადამიანი, მით უმეტეს ხელისუფალი პირველ რიგში უნდა იყოს საკუთარი ქვეყნის, საკუთარი სამშობლოს სამსახურში, უნდა დაიცვას საქართველოს ინტერესი და მხოლოდ ამის შემდეგ გაითვალისწინოს ყველა ის თხოვნა, მითითება თუ მოსაზრება, რაც უცხოელებისგან მოდის.

ეს შესავალი ევროპარლამენტარების მიერ, მორიგი სამარცხვინო ქმედების პასუხად დამჭირდა. დღეს ცნობილი გახდა, რომ ასოცირების შესრულების ანგარიშში კუბილიუსმა, რასამ, ფოტიგამ და ნაცების რამდენიმე ლობისტმა პოლიტიკური თემები „შეაკვეხეს“. ასე მაგალითად, ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტრები ითხოვენ კრიმინალი სააკაშვილის გათავისუფლებას, პრეტენზია აქვთ სხვა კრიმინალების, გვარამიას, კეზერაშვილის, ჭუტას და აშ. საქმეებზე და შეშფოთებას გამოხატავენ, რომ პარლამენტმა სამუშაო ჯგუფში არ შეიყვანა ისფედ-ი, ორგანიზაცია, რომელმაც წინასწარი დათვლის შედეგები გააყალბა და ქვეყანაში რევოლუციურ პროცესებს მისცა ბიძგი.

ყველამ კარგად დაიმახსოვრეთ ეს ხალხი, კუბილიუსი, ფოტიგა, რასა და ძმანი მისნი. ეს აგენტები და მათი უსამართლო ქმედებებია ჩვენს ქვეყანაში ანტიდასავლური განწყობების გამღვივებლები. ეს ხალხი ღიად იბრძვის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ!!!“ .

ლევან ნიკოლეიშვილი.

თავხედურმა ნეპოტიზმმა არ უნდა აღაზევოს კოლექტიური „გოგაშვილი“...



„გამეორება ცოდნის დედაა“!

ადრინდელია... მემორიმ ამოვიგდო... მგონი, დროულად!

„ახალ ცოცხს“ რომ ახლებურად ხელეწიფება „დასუფთავება“ ეს ცნობილია. მაგრამ, ნაბან წყალს რომ გავშვი არ უნდა გადაასყოლო, ეს ზოგიერთს არ ესმის. განსაკუთრებით ეხება ეს „სიბრძნე“ ახლადდანიშნულ „ბოსებს“, განურჩევლად სქესისა და წარმომავლობისა. ბოლო 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებით იმძლავრა ამ „ტრადიციამ“. თანაც, გამორჩეული ენთუზიაზმით... წინამორბედის (მით უმეტეს, შერისხულის) კადრებს ხომ უმოწყალოდ ერეკებიან... და მერე წუწუნებენ კომპეტენტური კადრების დეფიციტზე. დეფიციტი კი არა... კვახი! თემიკო ჩირგაძის გმირის არ იყოს, სახეზეა „გარღვევა დეფიციტში“, ანუ, ჭკუის ნაკლებობაში.

ბოლო დროის ერთმა სამარცხვინო “მოვლენამ“ საზოგადოების წინაშე მწვავედ დასვა ეს თემა. ის განსაკუთრებულ სიფრთხილეს, სიფაქიზეს მოითხოვს, რამეთუ კონკრეტული პერსონების გადაწყვეტილებების და მოქმედების მასშტაბური, მოურიდებელი განხილვის საგანი გახადა ვითარება ისეთ მგრძნობიარე სფეროებში, როგორიცაა ძალოვანი სტრუქტურები, კულტურისა და განათლების სფეროები.

საზოგადოებას აპრიორად მიაჩნია, რომ პიროვნული ერთგულება-ორგულობის, პოლიტიკური თუ კონიუნქტურული მიზანშეწონილობის სურვილმა, პირადმა ამბიციებმა და უზნეო პრაგმატიზმმა, ფარულმა თუ ღია თავხედურმა ნეპოტიზმმა არ უნდა აღაზევოს არც კონკრეტული და არც კოლექტიური „გოგაშვილი“, არა და არ უნდა ჩაძოლოს კომპეტენტურობა, გამოცდილება, დამსახურება, რომელთა ნაკლებობა ამუხრუჭებს სახელმწიფოს განვითარებას და დემოკრატიის ზეობის პროცესს. აღარ უნდა დაბრუნდეს ის დროც, როცა მთავარი სახელმწიფო (ანუ, ქართული) აზროვნება და კომპეტენცია კი არ არის, არამედ (თურმე) პირადი სიმპათიები, გარეგნული „მომხიბვლელობა“, უცხო ენა და კომპიუტერი.

ამ მიზანს ემსახურება ამ პუბლიკაციის გამეორებაც.

ტიაშვილს იმ მომენტში, როცა პრემიერს მიმართა პოსტიდან ნებაყოფილობით, „საკუთარი განცხადებით“(!!!) გადადგომის თხოვნით.

მაგრამ ვისურვებდი, რომ მინისტრობის (დეპუტატობის, მერ-გამგებლობის და ა.შ) კანდიდატებმა დანიშვნამდე გაიაზრონ საკუთარი შესაძლებლობები და...

აი, მაგ კრიტიკულ მომენტში, როცა გთავაზობენ „ხელმწიფისტოლა კაცის“ პოსტს, გაბედე და საკუთარ თავს დაუსვი ერთი „მძიმე“ შეკითხვა...

იკითხავთ, რა... როგორი?

დავესესხები მეოცე საუკუნის ერთ ბუმბერაზ კაცს და ჩვენს თემას რომ მიესადაგება, ერთ ღიმილიან 70-წლოვან ისტორიასაც გავიხსენებ:

სტალინ-ბერიას ლანძღვა-დაგმობის პერიოდში, მეცნიერებათა აკადემიის მორიგი არჩევნებისას, ცეკას დავალებით „გააშავეს“ დიდი ქართველი მოაზროვნე შალვა ნუცუბიძე.

მეორე დღეს, დედაუნივერსიტეტში, ერთმა „მეგობარმა“ პროფესორმა, რომელიც სწორედ ამ არჩევნებისას და სწორედ ცეკას პროტექციით „გაძვრა“ აკადემიის რიგებში, იქედნურად, დამცინავად მიმართა „დამარცხებულს“: რაო, შალვა, რატომ ისევ არ აგირჩიეს აკადემიკოსადო?

შალვა ნუცუბიძემ ყველას გასაგონად „ხურდა“ დაუბრუნა „ხუმარას“:

უმჯობესია შეგეკითხონ, რატომ არ აგირჩიეს, ვიდრე გაოცებულებმა გკითხონ... რატომ აგირჩიესო!!!!

გეყურებათ, მომავალო კანდიდატებო: ნუ გააოცებთ გარშემო მყოფთ, ვინც კარგად გიცნობთ, იცის თქვენი შესაძლებლობები, წარსული, „დიპლომიც“ ნანახი აქვთ თქვენი, „ბოტასებსაც ერთად იპარავდით“, კომაროვში თანაკლასელების ოინბაზობაც ახსოვთ და ხონშიც, შატალოზე ერთად დადიოდით და...

დროულად იკითხეთ: ხომ არ ცდებით, გააზრებული გაქვთ ის, თუ რატომ მნიშნავთ ამ თანამდებობაზეო?

ეს გამოსაფხიზლებელი, თანაც, დროული და „თავმდაბლური“ შეკითხვა ყველას ააცილებს უხერხულობას და სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, დამნიშნავ-რეკომენდატორისა და თანამდებობის მაძიებლისთვისაც...



ახლა ხომ ვარ ღირსი, ვინმემ შემომძახოს: ნეტარ არიან მორწმუნენიო...

კი, ვარ ღირსი!

ასე არ არის, გამოსაფხიზლებელი ტაშის დასაცხებად ყოველთვის მზად მყოფო კუკური?!

ნუგზარ ფოფხაძე

რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭე?!

1951 წლის ზაფხულში სტალინი ცოტა ხნით დასასვენებლად ეწვია საქართველოს...

მედიაში არაერთხელ გაჟღერდა ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის, პარტიული მაღალჩინოსნების და მისი ბავშვობის მეგობრების მოგონებები ამ ისტორიული ფაქტის შესახებ.

საინტერესოა ამ შეხვედრების ზოგიერთი დეტალი, რომელიც არ მოხვედრილა მემუარულ ლიტერატურაში.

ერთ-ერთი ეხება გარდაცვლილ ძველ რევოლუციონერს, რკინიგზის სახელოსნოების (შემდგომ, ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა) მუშას, რომელიც ბელადმა განსაკუთრებული სითბოთი მოიგონა. საუბრის დასასრულს მან იკითხა, თუ დარჩა ვინმე ოჯახის წევრი ან ახლობელი ამ ღირსეულ და დამსახურებულ კაცსო...

გასაკვირი არ იყო, რომ დამსწრეთაგან ვერავინ გასცა ზუსტი პასუხი ამ შეკითხვას, მაგრამ...

დილით, საუზმისას ბელადს მოხსენდა, რომ მის გარდაცვლილ თანამებრძოლს დარჩა ძმისშვილი, რომელიც იმხანად იმავე ქარხნის მოწინავე ხარატი გახლდათ. სტალინმა კვლავ არ დაიშურა თბილი სიტყვები წარსულის მეგობრის მიმართ და მიანიშნა, რომ ასეთი ადამიანების ოჯახებს მეტი ყურადღება სჭირდებათ, შთამომავლობას კი ხელშეწყობა პროფესიული თუ კულტურული ზრდისთვის.

ეს მინიშნება, რა თქმა უნდა, დირექტივად იქნა აღქმული და...

სულ მალე ძველი რევოლუციური ოჯახის სისხლის და ხორცის აღმასვლაც დაიწყო, მით უფრო, რომ მისი შრომითი საქმიანობა და წესიერება იძლეოდა სამართლიან საბაბს, ქვეყანას სამაგალითოდ მოვლენოდა მუშათა კლასიდან დაწინაურებული ახალი საზოგადოებრივი ფიგურა.

ამ პროცესს დრო დასჭირდა. ერთ წელიწადში ეს ხარატი საქართველოს პროფკავშირების ლიდერადაც „აკურთხეს“.

არ გასულა ახალ ამპლუაში ყოფნის ორიოდე თვეც კი და ყველასთვის მოულოდნელად, სტალინი გარდაიცვალა.

ბერიას მითითებით და მისივე კონტროლით საქართველოში უმალ დაიწყო სტალინის დაწინაურებული კადრებისგან განთავისუფლება, ანუ ანგარიშსწორება.

სამ თვენახევარში ბერიაც დახვრიტეს და ხრუშჩოვის მიერ დანიშნულმა ახალმა ხელმძღვანელობამ სტალინური კადრების „წმენდას“ ბერიასეულიც მიაყოლა თან.

და, რა თქმა უნდა, გაიხსენეს სტალინის მინიშნების შედეგად დაწინაურებული ის ყოფილი კარგი ხარატი, რომლის მოხსნაც ბერიას „მრევლმა“ უბრალოდ ვერ მოასწრო...

ერთი სიტყვით, დადგა მისი თავიდან მოშორების ჯერიც.

კომპარტიის ცეკას ბიუროზე, რომლის წევრიც ყოფილი ხარატი უკვე გახლდათ, მას გამოუცხადეს, რომ უნდა დატოვოს თანამდებობა. ეს კი უთხრეს, მაგრამ მიზეზს ვერავინ ამბობს: როგორი სათქმელია, იმიტომ გხსნით, რომ სტალინი იყო შენი რეკომენდატორიო...

ყოფილმა ხარატმა დამუნჯებულ და უხერხულობაში ჩავარდნილ კოლეგებს თავად გასცა პასუხი:

რატომ მხსნით, ამ ორ-სამ თვეში რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭეო!

გეყურებათ – რა გავაკეთე, ან, რა გავაფუჭეო!!!!!

ხარხარში გადაზრდილი სიცილი და... ყოფილი ხარატი დატოვეს თანამდებობაზე. რამდენიმე წელს იმუშავა, მერე კიდევ უფრო მაღლა გადაიყვანეს იმ შენობაში, ახლა რომ პარლამენტია.

დიდი კაბინეტის უკან ოთახი იყო, სადაც იდგა პატარა ჩარხი და ახლა უკვე ძალიან დიდი მაღალჩინოსანი „თავისუფალ“ დროს ჩხირკედელაობდა რაღაც-რაღაცებს, ამ „პროდუქციას“ სიამოვნებით ჩუქნიდა თავის იშვიათ სტუმრებს...

მართლა კარგი კაცი იყო მიხეილ ლელაშვილი, საბჭოთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე (ახლანდელი გაგებით, საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი).

რამ გამახსენა 73 წლის წინანდელი ეს ისტორია?

რამ და ყოველივე ეს გონებაში ამოტივტივდა მაშინ, როცა გავიგე, თანამდებობა მოულოდნელად დაუტოვებია განათლების, კულტურის და კიდევ რაღაცების მინისტრს მიხეილ ბატიაშვილს.

ჰოდა, უმალ გამახსენდა ზემოთ მოტანილი ისტორიის გმირის – ყოფილი ხარატის, უპატიოსნესი და უკეთილშობილესი კაცის საპასუხო შეკითხვა, როცა მოსთხოვეს ნებით თანამდებობის დატოვება: ამიხსენით, რა გავაკეთე ან რა გავაფუჭეო?

არა მგონია, რაიმე მსგავსი შეკითხვა დაესვა წესიერ, კეთილშობილ კაცად ცნობილ ბატონ მიხეილ ბა-

7 მილიონის ძარცვის პირობებში ვინმეს პოლიტპატიმრად მოხსენიება სრულიად არარელევანტურია

ნიკა გვარამია არის რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი და, შესაბამისად, ეს პარტიები სუბიექტურად არიან დაინტერესებული, რომ გვარამია პოლიტიკურ პატიმრად მოიხსენიონ, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„სინამდვილეში ყველამ იცის, რაშიც იყო საქმე. კერძოდ, ეს ადამიანი ძარცვავდა ტელეკომპანიას, რომელიც რამდენიმე თვეში უნდა გადაეცა კანონიერი მფლობელისთვის, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 7 მილიონის ძარცვის პირობებში, ვინმეს პოლიტპატიმრად მოხსენიება სრულიად არარელევანტურია“, – განაცხადა კობახიძემ.

ოპოზიციურ ფოლადისგან ჩამოსხმული



გამოჩენილი ქართველი მეტალურგი გურამ ქაშაკაშვილი 90 წლისაა

(პირველი გვერდიდან) **ის, რაც ვერ შეძლო საქართველოს მთავრობამ, გ. ქაშაკაშვილმა მიაღწია რუსეთის პრეზიდენტის გორის ელცინის კატეგორიული განკარგულებით სეპარატისტი აფხაზეთის მიერ წართმეული ენგურჰესის სიმძლავრეების მართვის საქენერგოზე გადმოცემისა, რაც აფხაზეთში ძმათა მკვლელი ომის შემდეგ დღემდე ერთადერთი მშვიდობიანად გადაწყვეტილი საერო საქმეა, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა პერიოდულად აწარმოებს ელექტროენერგიის ექსპორტსაც.**

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, საქართველოს ყველა დარგის ხელმძღვანელებიდან გ. ქაშაკაშვილმა ერთადერთმა შეძლო რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთისა და უკრაინის უმაღლეს ხელისუფლებებთან შეთანხმებით, ორმხრივი ჩარჩო ხელშეკრულებების გაფორმება და მის მიერ დაფუძნებული საქსამთომეტალურგიულ კომპანიაში შემავალი ზესტაფონის ფეროშენადნობთა, რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებთან ერთად ჭიათურის მანგანუმისა და კაზრეთის ფერადი მეტალურგიის გაერთიანებები თავიანთი საექსპერტო პროდუქციის საფასურად ყოველგვარი სასაზღვრო გადასახადის გარეშე იღებდნენ საჭირო მასალებს, მათ შორის 10-ჯერ იაფ ბუნებრივ აირს, ვიდრე საქართველოს მთავრობას შემოჰქონდა თურქმენეთიდან და კომპანიაში შემავალი საწარმოები, რომლებიც იძლეოდნენ და დღესაც იძლევიან ჩვენი ქვეყნის საექსპერტო პროდუქციის ნახევარზე მეტს, რითაც ისინი ნგრევისგან გადაარჩინა და დღესაც ამყარებენ ჩვენს ლარს.

გურამ ქაშაკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული სოფელი ფოლადაანთკარის, მარნეულის რაიონში, მიხეილ ჯავახიშვილის სოფლების: სიონის, წერაქვის, სამხრეთ საქართველოში, ოკამში, სვანეთიდან და მთიანი აჭარიდან წყალდიდობით, მეწყერებით დაზარალებულებისთვის ორსართულიანი კაპიტალური სახლების, საბავშვო ბაღების, სკოლების მშენებლობა და ამ რეგიონში დემოგრაფიული სურათის გაუმჯობესება. მიწისძვრით დაზარალებული დმანისის, ნინოწმინდის, ქარელის, საჩხერის, ჭიათურის, რაჭის სოფლების მოსახლეობის უზრუნველყოფა უფასო მილებით, არმატურით, ცემენტით, სახურავი თუნუქით. მეტალურგების ოჯახებს, ვინც დააზიანა სოფლებში მიწისძვრამ, ყველა ოჯახს დაეხმარა 10 ათასი მანეთით და მათი სახლების მშენებლობაზე მუშაობდნენ მეტალურგების ბრიგადები.

გ. ქაშაკაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა აზერბაიჯანში 12 ათას მეტრ სიღრმეზე აღმოჩენილი უმაღლესი ხარისხის ნავთობის მოსაპოვებლად ზემტკიცე ნავთობმოსაპოვებელი მილების წარმოებისთვის მილების წრთობის, მოშვების და თბილი გლინვის ტექნოლოგიური უბანი და ათვისებული იქნა ზემტკიცე მილების დამუშავების ნაკადური ავტომატიზებული, რობოტიზებული პროგრამით მართული დასავლეთ გერმანული და ავსტრიის ფირმების „ემაგის“ და „ხაიდის“ ფირმების დანადგარები.

ზესტაფონში გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივით იაპონური ღუმელების კომპლექსში დამატებით აშენდა მდინარე ყვირილაზე და რკინიგზის მაგისტრალზე უსაფრთხო მოძრაობისათვის ხიდი, წიდების კომპლექსური გადამუშავების უბანი და მოქმედი 22 ელექტროღუმელის შეცვლა დახურული ტიპის ღუმელებით გაზსაწმენდი დანადგარებით, რითაც აღიკვეთა გამონაბოლქვი მტვერით რეგიონის დაბინძურება და მდინარე ყვირილაზე წიდების გადაყრა. აშენდა ზესტაფონის მუსიკალური სკოლა, სასტუმროს კომპლექსი და ქარხნის ახალი სამმართველო, საცხოვრებელი სახლები კვალითის დასახლებაში, უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი, ფეროს კულტურის სახლს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და სხვ.

რუსთავის ელექტროსაამქროს კომპლექსში დამატებით დაფინანსდა და აშენდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ორი სასწავლო კორპუსი, სასტუმრო რუსთავი, სახლმშენებლობის კომბინატი, მრავალი სკოლა და საბავშვო ბაღი, რაც ყველაზე მთავარია, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ბინათმშენებლობა წელიწადში 4-ათასი კვადრატული მეტრიდან გაიზარდა 30 ათას კვადრატულ მეტრამდე,. ეს შესაძლებელი გახდა უზბეკეთში დაგეგმილი ბინათმშენებლობის მოცულობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე გადმოცემით, რითაც საბჭოთა კავშირის დანგრევამდე რუსთავში დამატებით აშენდა 300 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი.

თბილისში აშენდა ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგთა სასწავლო მე-10 კორპუსი.

საპატრიარქოსთან თანამშრომლობით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და აღორძინდა მარტვილის წმინდა ნინოს, თბილისის შავნაბადას, სვეტიცხოვლის ეკლესიები, მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი, ჩაისხა სამების ტაძრის საძირკვლები, მისი დაფინანსებით და მატერიალური უზრუნველყოფით აშენდა რუსთავის ვახტანგ გორგასლის სახელობის და წმინდა მიქაელის ეკლესიები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის ეზოში დავით აღმაშენებლის ეკლესია და მშობლიური ბაღდათის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარი.

გ. ქაშაკაშვილის თაოსნობით საბჭოთა კავშირში პირველად შეიქმნა ერთობლივი საწარმო იტალიური, ფრანგული და იაპონური ფირმების მონაწილეობით ფართო მოხმარების საქონლის საწარმოებლად რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

მეტალურგების წარმოებული იაპონური ტელევიზორებით, ვიდეოგადამღებებით, ვიდეო-აუდიოტექნიკით ზვიად გამსახურდიას თხოვნით დაფუძნდა ტელევიზიის მეორე არხი და ეროსი კიწმარიშვილის კერძო არხი „რუსთავი-2“.

მეტალურგიულმა ქარხანამ დააფინანსა 9 აპრილს დასახიჩრებულ და მოწამლულთა საზღვარგარეთ მკურნალობა, თბილისის ცერებრალური დამბლით დაავადებულების კლინიკისათვის შეძენილი იქნა ჩეხოსლოვაკიაში დამზადებული სპეციალური სკაფანდრები. დაფინანსდა საზღვარგარეთ მრავალი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მკურნალობა და ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლება, მათ შორის კონსერვატორიის წარჩინებული სტუდენტების, ლადო ათანელის, ბადრი მაისურაძის, ვალერიან გამგებლის და სხვათა გარსელონას და იტალიის საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობა, რითაც ისინი მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები გახდნენ. გ. ქაშაკაშვილმა დააფინანსა დიდი ხელოვანისა და მამულიშვილის ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით ლონდონის, პარიზის, სანკტ-პეტერბურგის საცავებში საუკუნის წინ ჩაწერილი საქართველოს გულბულის – ვანო სარაჯიშვილის, ლასკალას თეატრში პირველი ქართველი მომღერლის ფილიმონ ქორიძის, ვალერიან ქაშაკაშვილის, მისი მოსწავლეების – მედეა გაბუნიას, ლამარა ჭყონიას, ზურაბ ანჯაფარიძის, ვლადიმერ კეკელიას, თენგიზ მეშველიანის, რეზო კაკაბაძის და სხვათა არიების ჩანაწერების გაწმენდა-აღდგენა და კომპაქტდისკებად გამოცემა.

გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივით ჩატარდა და ტარდება გამოჩენილი მეტალურგების, მისი მასწავლებლების იუბილეები, საუბილეო კრებულების გამოცემით და მათთან ერთად ნოდარ ანდღულაძის, ცისანა ტატიშვილის, ჯემალ მდივნის, მედეა ამირანაშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ვალერიან ქაშაკაშვილის იუბილეები. დამსახურებული მასწავლებლების: ივანე თავხელიძის, პელაგია ქაშაკაშვილის ფონდების დაარსებით ყოველწლიურად ხდებოდა ფრიადოსანი მოსწავლეების და მათი მასწავლებლების დაჯილდოება პელაგია ქაშაკაშვილის და ივანე თავხელიძის ოქროს მედლებით. სანამ განათლების სამინისტრო აღადგენდა ოქროს მედლებით დაჯილდოებას. ასევე ხდებოდა გამოჩენილი მუსიკოსების, ხელოვნების მუშაკების ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის ლაურეატის დიპლომებით და ოქროს მედლებით დაჯილდოება.

გურამ ქაშაკაშვილის ფინანსური უზრუნველყოფით დაიდგა მოქანდაკე შოთა მელიავას შექმნილი გამოჩენილ მეტალურგთა და ხელოვანთა 30 ბრინჯაოს ბარელიეფ-გორელიეფ, ბიუსტები რუსთავში, ბაღდათსა და თბილისში. 15 ბარელიეფი ოდენ თბილისს ამშვენებს.

ცნობისთვის, ჭიდაობაში მსოფლიოს პირველი ქართველი ჩემპიონის გივი კარტოზიას ძეგლი სპორტის სასახლის წინ და მთაწმინდის პანთეონში უშანგი ჩხეიძის (ჰამლეტის როლში) ძეგლი, შექმნილი ვახტანგ დავითაიას ავტორობით, გურამ ქაშაკაშვილის ინიციატივით და ფინანსური უზრუნველყოფით რუსთავში ჩამოისხა ბრინჯაოში.

საქართველოს დამსახურებული არტისტის ალეკო ხომერიკის თხოვნით, გ. ქაშაკაშვილმა დააფინანსა ბათუმის დრამატულ თეატრში ზაქარია ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პირველი სპექტაკლის დადგმა, რაც აჭარაში საოპერო ხელოვნების განვითარების საფუძველი გახდა, სადაც აშენდა ოპერის თეატრიც და მსოფლიოში აღიარებული მომღერლები გამოდიან.

აფხაზეთის ძმათამკვლელ ომამდე ჯერ ზვიად გამსახურდიას, შემდეგ შევარდნაძის დავალებით, მეტალურგიულმა ქარხანამ შეაიარაღა ჩვენი სამხედრო ფორმირებები. გ. ქაშაკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ომის დროს მათი სამხედრო ტექნიკით, იარაღით, დიზელის საწვავით, ბენზინით, სურსათით, მეფოლადეთა სპეცტანსაცმლით უზრუნველსაყოფაში. მორალურად ამხნევებდა გუმისთის ცენტრალური ფრონტის მეომრებს, რომლებიც ძირითადად მეტალურგიული ქარხნის დაცვის თანამშრომლებისგან შედგებოდა.

გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობით განხორციელდა რუსთავის მარტენის საამქროში მსოფლიოში პირველი დნობა ფოლადის გამოსაშვები ხვრელიდან ბუნებრივი აირის და ჰაერის ნარევის ინტენსიფიკაციით, რომლის დროსაც აღმოჩენილ იქნა ნახშირბადის აღდგენითი პროცესი მთელ მსოფლიოში გავრცელებული დამუანგავ პროცესებთან ერთად... ამ უკანასკნელის საბჭოთა კავშირის ქარხნებში დანერგვის შემდეგ ქართული ლიცენზია შეიძინა გერმანულმა ფირმებმა „კრუპმა“ და „მანისმანმა“.

გურამ ქაშაკაშვილს ორი მოწვევის პარლამენტში აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული ჩვენი ქვეყნისა და ხალხისათვის მეტად საჭირო კანონების შემუშავებაში. ის ჩვენი ქვეყნის საწარმოთა ხელმძღვანელებს შორის ერთადერთია, ვინც სადოქტორო დისერტაცია წარმოებისგან მოუწყვეტლად დაიცვა მსოფლიოში აღიარებული აკადემიკოსი ივანე ბარდინის სახელობის ინსტიტუტში. ტექნიკურ უნივერსიტეტში მეტალურგიული ფაკულტეტის ფოლადის მეტალურგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელად მუშაობის დროს, გასაჯარავდა მისი ზესტაფონის ფეროშენადნობთა და რუსთავის მეტალურგიულ ქარხნებში ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი ექსპერიმენტების შედეგები.

დღეს გურამ ქაშაკაშვილი ერთადერთი მეცნიერია, რომელმაც შექმნა და თავისი რედაქტორობით გამოსცა ექვსენოვანი მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი, სამთომეტალურგიული ენციკლოპედიის ორტომეული.

ის არის საქართველოდან რეგისტრირებული №390, №437 და №497 მეცნიერული აღმოჩენის ავტორი, 328 მეცნიერული შრომების, მათ შორის ყველა მეცნიერზე მეტი – 103 გამოგონებით, 7 პატენტით, აშშ, იაპონიასა და გერმანიაში გაყიდული ლიცენზიებით და დანერგვის სარეკორდო მაჩვენებლით – 26%, აგრეთვე, 27 დანერგილი გამოგონებით.

საქართველოში სამი მეცნიერული აღმოჩენისთვის მხოლოდ გურამ ქაშაკაშვილია დაჯილდოებული ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას ერთი ვერცხლის და ორი ოქროს მედლით – ამოტვიფრული წარწერით – „მეცნიერული აღმოჩენის ავტორს“. ასევე ერთადერთი მეცნიერია საქართველოში, რომელიც ოთხგზის სახელმწიფო პრემიას ფლობს.

დაჯილდოებულია აშშ-ის მეცნიერის ღირსების ოქროს ორდენით და დარგში მიღწეული წარმატებებისთვის ოქროს ქანდაკებით. არჩეულია დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის ბიოგრაფიული საბჭოს წევრად დამფუძნებლის სტატუსით. არის საქართველოს საინჟინრო აკადემიის, უკრაინის მეცნიერებათა, ევროკავშირისა და რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიების წევრი – საქართველოში ამ აკადემიის განყოფილების თავმჯდომარეა.

დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, სტალინისა და საქართველოს ღირსების სახელმწიფო ორდენებით. მისი ბიოგრაფია შესულია ლონდონის, პარიზის, ვაშინგტონის, მოსკოვის, კიევის, თბილისის ენციკლოპედიურ გამოცემებში.

აი, რატომ ვამბობთ, რომ გურამ ქაშაკაშვილი მართლაც ერთადერთი და განუმეორებელია!..

გურამ ქაშაკაშვილის მეგობრების სახელით

გურამ გოგიაშვილი,
სპარტაკ ქოგულია

საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადება

„ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის გამბედაობა, ამერიკელებს დაუპირისპირდეს

სიცრუეზე აგებული მედიაგაშუქების სახით, ქვეყანას ჭირს უმძიმესი სენი, თუმცა ამისგან განკურნებას გვიკრძალავენ!

„ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიების მთავარი მომხმარებელი და დამკვეთი საელჩოა, რომელიც თავის მთავარ შანსს სწორედ ქართული პოლიტიკის რადიკალიზაციაში ხედავს“.

„ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ დამფუძნებელ მამას და ყოფილ პრეზიდენტს — თომას ჯეფერსონს ეკუთვნის სიტყვები: „მე დავიფიცე ღვთის საკურთხევლის წინაშე, რომ ვიქნებოდი დაუძინებელი მტერი ტირანიის ნებისმიერი ფორმისა ადამიანის გონზე“.

თანამედროვე ე.წ. ლიბერალები თომას ჯეფერსონს უსათუოდ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდნენ და დაგმობდნენ იმისათვის, რომ საკუთარი ფიცის გასამყარებლად ღვთის საკურთხეველი ახსენა. მეტიც — ისინი ჯეფერსონს მტრადაც კი გაიხდიდნენ, მაგრამ არა იმდენად ღვთის საკურთხევლის ხსენებისთვის, რამდენადაც იმის გამო, რომ ე.წ. ლიბერალების დღევანდელი პოლიტიკური ჰეგემონია უპირატესად სწორედ ადამიანის გონზე ტირანიას ემყარება. განსაკუთრებული ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ გლობალური ტირანიის უპირველესი წყარო, სამწუხაროდ, სწორედ თომას ჯეფერსონის სამშობლოა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სიცრუე და ზიზღის ენა თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმძაფრით არის გამოხატული საქართველოში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი მედიასაშუალებები სიცრუესა და სიძულვილს ყოველდღიურად ტირაჟირებენ, რისი უმთავრესი ამოცანა ადამიანების დემორალიზება, ნიჰილიზმის დათესვა, ტრადიციული ღირებულებებისგან ადამიანების დაცლა, მანიპულირების ბრმა იარაღად საზოგადოების გარდაქმნა და შედეგად, სახელმწიფოში სრული პოლიტიკური ინტერვენციის უზრუნველყოფაა.

თანამედროვე მედიაში მოჭარბებული სიცრუისა და ზიზღის ენის აღკვეთის ნებისმიერ მცდელობას, როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, აგრესიულად უპირისპირდებიან ე.წ. ლიბერალები, რომლებიც გამოხატვის თავისუფლების საფარქვეშ, სინამდვილეში, სწორედ საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონიის მთავარ იარაღს — სიცრუესა და სიძულვილს იცავენ“, — აღნიშნულია განცხადებაში.

საზოგადოებრივი მოძრაობა აცხადებს, რომ „ე.წ. ლიბერალური იდეოლოგიის გავრცელების მთავარ ინსტრუმენტად საქართველოში სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი მედიასაშუალებებია ქცეული“.

„დესამშობლოიზაცია“ ამ მედიასაშუალებების მთავარმა ლიდერმა საკუთარ მიზნად ლიადაც დაასახელა. ნაცმოძრაობის კუთვნილი ტელევიზიები სრულად ჩაკეტილნი არიან ნებისმიერი ალტერნატიული აზრისთვის და ისინი დაუფარავად ებრძვიან ყველაფერ ძართულს, განსაკუთრებით კი — სახელმწიფო ინტიტუტებსა და ეკლესიას, აგრესიულად ცდილობენ, დანერგონ იმგვარი აზროვნება და ფსევდოღირებულებები, რომლებიც ძართული საზოგადოებისთვის ორგანულად არის მიუღებელი.

არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ მედიაში სიცრუე, ზიზღის ენა და რადიკალიზმი საქართველოსთვის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. თუმცა, როგორც კი ვინმე ამ პრობლემის მოგვარების გზებზე დაიწყებს საუბარს, მაშინვე ე.წ. ლიბერალები გამოდიან აგრესიულად ავანსცენაზე და პრობლემის მოგვარებაზე ფიქრსაც კი გვიკრძალავენ. ანუ ყველა თანხმდება უმძიმეს დიაგნოზზე, მაგრამ გვიკრძალავენ სენის მკურნალობას, მიუხედავად იმისა, რომ ამ სენისგან ქვეყანა და საზოგადოება, უმარტივესი საკანონმდებლო რეგულირების გზით, ძალიან იოლად განკურნებადია.

ყველამ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიების შენახვაზე საკმაოდ დიდი ე.წ. შავი ფული იხარჯება. სატელევიზიო რეიტინგების მიხედვით, მათ ჯამში საქართველოს მოსახლეობის 10-15 პროცენტი უყურებს. თუმცა, ეს ადამიანები ამ ტელევიზიების არა მომხმარებლები და დამკვეთები, არამედ მეტწილად მსხვერპლნი არიან. „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიების მთავარი მომხმარებელი და დამკვეთი საელჩოა, რომელიც თავის მთავარ შანსს სწორედ ქართული პოლიტიკის რადიკალიზაციაში და სიცრუითა და სიძულვილით საზოგადოების ინსტრუმენტალიზაციაში ხედავს.

სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში, საელჩოს ფავორიტი რადიკალური ოპოზიციისა და ენჯეოების მხარდამხარ, ყველაზე აქტიურად არის ჩართული სწორედ მათთან დაკავშირებული მედია. სწორედ ეს მედია აღვივებს აქტიურად სიძულვილსა და რადიკალიზმს, რაც ქართულ პოლიტიკურ სისტემას ე.წ. პოლარიზაციის ჩაკეტილი წრის გარღვევის შესაძლებლობას არ აძლევს. აშკარაა, რომ ეს რადიკალიზმი, როგორც ხალხის ნების წინააღმდეგ ხელისუფლების შეცვლის მთავარი ინსტრუმენტი, საელჩოს მიერ არის დაკვეთილი და ნასაზრდოები.

საინტერესოა, რომ ძართული ენჯეოების ყველაზე მსხვილი ამერიკული დონორი ორგანიზაცია — „ნედი“ აფინანსებდა რადიკალური ოპოზიციის კუთვნილი მედიასაშუალებების მიერ 2020 და 2021 წლების არჩევნების გაშუქებას. ყველას ახსოვს აგრესიული ფეიკ-კამპანია არჩევნების ვითომდა გაყალბების შესახებ, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია სწორედ მისი მედიის მეშვეობით აწარმოებდა. როგორც გაირკვა, საელჩომ არა მხოლოდ პარალელური ხმის დათვლის შედეგები (ე.წ. პივიტი) გააყალბა მისი ერთ-ერთი ფავორიტი ენჯეოს მეშვეობით, არამედ არჩევნების ხელოვნური დელეგიტიმაციის მისალწევად, მედიის შესაბამის ფეიკ-კამპანიასაც აფინანსებდა. საინტერესოა, რომ არჩევნების გაყალბებულად წარმოსაჩენად, „ნედი“ არა მხოლოდ შესაბამის პროგრამებს აფინანსებდა, არამედ რადიკალური ოპოზიციის ტელევიზიების ჟურნალისტებს უშუალოდ ხელფასებსაც კი უხდიდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ სიცრუესა და სიძულვილზე აგებული მედიაგაშუქების სახით, ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებას ჭირს უმძიმესი სენი, თუმცა ამ სენისგან განკურნებას კატეგორიულად გვიკრძალავენ. „ქართულ ოცნებას“ არ ჰყოფნის გამბედაობა, ამერიკელებს დაუპირისპირდეს და ქვეყნისა და საზოგადოებისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგას. ვფიქრობთ, ესეც ის საკითხია, რაზეც საზოგადოებას სიმართლე უნდა ვუთხრათ და მისგან მოვისმინოთ შეფასება, არის თუ არა სიცრუე და ზიზღის ენა გამოხატვის ის ფორმა, რომელიც აბსოლუტური ფორმით დაცვას იმსახურებს.

ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალას შეუძლია დაიცვას ქვეყანა იმ მანიპულირებისგან, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებულ რისკს შეიცავს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ირაკლი ღარიბაშვილი:

კლიმატის ცვლილება ჩვენი თაობის გამოწვევად იქცა!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გაეროს კლიმატის ცვლილების 27-ე კონფერენციის მონაწილეებს გუშინ სიტყვით მიმართა.

„საუბრის დრო აღარ დარჩა, რადგან ახლა საჭიროა სწრაფი და შედეგზე ორიენტირებული ქმედებები. ამ სულისკვეთებით, საქართველო განიხილავს პარიზის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების საკითხს და მისი ეროვნულ დონეზე გაწერილი წვლილის გაზრდის ამბიცია გააჩნია 2025 წლისთვის. შევიმუშავეთ მეტადდ ყოვლისმომცველი სტრატეგია კლიმატის ცვლილებების სფეროში და შესაბამისი სამოქმედო გეგმაც გაიწერა 2030 წლისთვის კლიმატის ცვლილებების ამბიციური დღის წესრიგის შემდგომი ხელშეწყობისა და შედეგების შერბილებისთვის. ამასთანავე, საქართველო თავისი გრძელვადიანი და დაბალი ემისიის სტრატეგიით მიზნად ისახავს ნახშირბადისადმი ნეიტრალური ქვეყნის სტატუსის მიღწევას 2050 წლისთვის, ერთიანი ეროვნული ძალისხმევითა და საერთაშორისო ძალისხმევით“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა. ამასთან, მისივე თქმით, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ენერგოსისტემა გააჩნია და მისი 85 პროცენტი განახლებად წყაროებზე მოდის. ღარიბაშვილის განცხადებით, ამ წლის შემდგომი ზრდა საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტია.

„გარდა ამისა, ვაგრძელებთ ისეთი არატრადიციული, განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარებას და მხარდაჭერას, რომელიც მზის, ქარის, წყლის, გეოთერმული და მდგრადი ენერგიის სხვა საშუალებებია. დარწმუნებული ვარ, ძლიერი ჩარჩოს შემუშავება და ქვეყნების მდგრადობის ზრდა გახდება ჩვენი ამ მოლაპარაკებების შედეგი შარმ-ელ-შეიხში, თუმცა ეს ძალისხმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ქმედითი, თუ განვითარებადი ქვეყნების პერსპექტივების და კონტექსტის გათვალისწინება ყველა რეგიონში მოხდება.

გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სამართლიანი გეოგრაფიული წარმომადგენლობა, სუვერენული თანასწორობა და ღირსების პატივისცემა არის თავად გაეროს და ამ ორგანოს მუშაობის ფუნდამენტური პრინციპი. არავინ გამოგვრჩეს, არის ეს პრინციპი და ის ასახულია 2030 წლისთვის გაწერილი მდგრადი განვითარების დღის წესრიგში. ამიტომ, ხსენებული ორგანოების წევრობის საფუძველზე, სამართლიანი გეოგრაფიული მიზნის მიღწევა რჩება ჩვენს ერთ-ერთ უმაღლეს პრიორიტეტად ამ კონფერენციის ფარგლებში. დასკვნის სახით მინდა, მოვუწოდო და შევახსენო ჩვენს კოლეგას, რომ წარმატების მიღწევა მარტო შეუძლებელია. მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ შედეგის მიღწევას. ამიტომ, მოდით, ერთად გარდავქმნათ დაინტერესებულ წრეთა და მხარეთა 27-ე კონფერენციის შედეგები სწრაფ ქმედებებში კლიმატის გადასარჩენად“.

მე-12 ბატალიონმა ნატოს მეორე დონის შეფასება წარმატებით გაიარა

ნატოს ოპერატიული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამაში ჩართულმა (OCC E&F) პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის „ალფა“ ასეულმა მორიგი შეფასება წარმატებით გაიარა. მეორე დონის შეფასების (NEL-2) წვრთნები საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებასა და ნატოს რეაგირების ძალებისთვის მზადყოფნის დადასტურებას ისახავდა მიზნად, — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, წვრთნების დასკვნითი ფაზა ვაზიანის სასროლეთზე საჩვენებელი სწავლებით დასრულდა, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე დაესწრო. სწავლებაზე დასასწრებად საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა ნატოს სახმელეთო სარდლობის G-3 ოპერატიული დეპარტამენტის უფროსი, ბრიგადის გენერალი ზოლთან ნემეთი.

ასეულმა ობიექტზე წინასწარ მომზადებული შეტევა განახორციელა. სწავლებაში ჩართული იყო საბრძოლო მანქანა „დიდგორი“. ქვედანაყოფმა დაჭრილებისა და დაშავებულების ევაკუაცია ვერტმფრენის დახმარებითა და სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი მედევაკის“ გამოყენებით განახორციელა.

ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულმა დამკვირვებელ-მაკონტროლებელთა ჯგუფმა ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მოქმედებები დადებითად შეაფასა. მოგვიანებით საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალურ შტაბში საბრძოლო მზადყოფნის დოკუმენტი გაფორმდა.

„საქართველოს უკანასკნელი ლომი“

კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, სამების საკათედრო ტაძრის ეზოში ერეკლე მეორის ბიუსტი დაიდგა



კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, ერეკლე მეორის ბიუსტი დაიდგა. როგორც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფორმაციაშია აღნიშნული, „ქართველ მეფეთა სკვერის“ მოწყობის პროექტი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში 2021 წელს დაიწყო. დღეისთვის ტაძრის ხეივანში უკვე სამი ბიუსტი დგას: ბაგრატოვანთა მამამთავრის — ბიბლიური დავით მეფის (მეფსალმუნის), თეიმურაზ პირველისა და ერეკლე მეორის.

„კულტურის სამინისტრომ, სხვა დონორებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ერეკლე მეორის ბიუსტის დადგმაში, რაც „ერეკლეობის“ დღევანდელი დღესასწაულისათვის დასრულდა კიდეც.

პროექტის განხორციელებაში ასევე განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს: „სარაჯიშვილის“ საქველმოქმედო ფონდმა, ბანკმა „ქართუმ“, პარლამენტის წევრმა დავით სონღულაშვილმა, ბიზნესმენმა გიორგი შიუკაშვილმა და ქართული გალობის განვითარების ცენტრმა.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ „ერეკლეობა“ თელავში 7 ნოემბერს აღნიშნა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, თელავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა დიდი ქართველი მეფის, ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი გამოფენა — „მეფე ერეკლე — საქართველოს უკანასკნელი ლომი“. მუზეუმშივე მოეწყო 200-გვერდიანი ორენოვანი ფერადი კატალოგ-ალბომის პრეზენტაცია, რომელიც სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა.

ექსპოზიცია, რომელსაც მანამდე თბილისის ეროვნული გალერეა მასპინძლობდა, აერთიანებს ქართველი მონარქის დიდი საქმეების ამსახველ უნიკალურ მასალას, საოჯახო ნივთებს, რომელთა შორის არის: მეფე ერეკლეს ბავშვობისდროინდელი სათამაშო, თოფები (მათ შორის — თოფი მუსაიფი), ხმლები, ერეკლე მეფის პორტრეტი, მეფის ოჯახის წევრთა ნაქარგობები, წიგნები და სხვა.

გარდა ამისა, „ერეკლეობასთან“ დაკავშირებით თელავის მუზეუმმა გამოსცა ფაზლები ერეკლე II-ის გამოსახულებით, კალენდარი და სასაჩუქრე ჩანთები, ასევე, მეფის სასახლის აივანზე გამოიფინა სასახლის რეაბილიტაციის ამსახველი ფოტომასალა, მუზეუმის დერეფანში კი მოეწყო ნინო ბონდარენკო-მრელაშვილის გამოფენა „გადაშლილი წიგნი“.

რას ბეჭდავენ და რას ყიდულობენ?!

წიგნის დღეები თბილისში

თბილისში, ექსპოჯორჯიის მე-11 პავილიონში წიგნების მორიგი გამოფენა-გაყიდვა დასრულდა. ახალ გამოცემებთან ერთად წარმოდგენილი იყო წინა წლების წიგნებიც, მათგან ბევრი — ფასდაკლებით.

მკითხველმა შეიძინა როგორც ქართული, ასევე სხვა ენებზე დაწერილი წიგნები, საბავშვოც და საუფროსოც. უკვე „ბესტსელერებიც“ გამოიკვეთა.

„ბევრი ყიდულობს ლუსი მოდ მონგტომერის წიგნს „ენი გრინგეიბლიდან“, როგორც ჩანს, ფილმის დამსახურებაა“, — ამბობს **ქეთევან ჯაყელი,** გამომცემლობა „სულაკაურის“ წარმომადგენელი. ამ წიგნის რამდენიმე ეკრანიზაცია არსებობს. გამომცემლობები ხშირად ბეჭდავენ ფილმებად გადაღებულ წიგნებს, რადგან მათ მიმართ საზოგადოებას უკვე აქვს ინტერესი, უფრო ადვილადაც ყიდულობს. რაც შეეხება ქართველ ავტორებს:

„ქართველ ავტორებსაც კითხულობენ. ძალიან უყვართ ლეილა ცუცქირიძის, ირმა მალაციძის წიგნები. ძალიან კარგია ელისო ჩუბინაშვილის „ვარსკვლავების მდინარე“. კიდევ ახლა გია პაპუაშვილის წიგნი გამოვეცით: „მოლი, ანუ თითქმის დაუჯერებელი ამბავი“. აქ მთავარი მოქმედი გმირი ძაღლია, რომელიც თავისი ოჯახის ამბავს მოგვითხრობს. წიგნი ქართულ რეალობაზეა. როდესაც ქართველი ავტორები ცდილობენ „საერთაშორისო“ წიგნი დაწერონ, მისი გამოცემა უფრო რთულდება ხოლმე“, — ამბობს ქეთევან ჯაყელი.

გამოფენაზე თავისი სტენდი ჰქონდა აზროვნების აკადემიას“, რომელიც ორი წელია დაარსდა. ეს გამომცემლობა პლატფორმას იმ ადამიანებს უთმობს, რომლებიც განვითარებაზე, ინტელექტზე არიან ორიენტირებულები: ფსიქოლოგებს, მეცნიერებს, სასულიერო პირებს, მწერლებს...

— ამ ფესტივალისთვის ახალი წიგნი დავბეჭდეთ — „თვითშეფასება“. ეს სხვადასხვა ავტორების კრებულია. თვითშეფასების პრობლემა ნამდვილად არის საზოგადოებაში, როდესაც ამ თემაზე ლექციებს ვატარებთ, ყოველთვის ძალიან ბევრი ადამიანი ესწრება, — ამბობს **თორნიკე ასლანიშვილი,** „აზროვნების აკადემიის“ დირექტორი.

წლევანდელ ფესტივალზე მეგრულად დაწერილი წიგნიც გამოჩნდა. „მეგრული ენის ასოციაციამ“ წამოიწყო ახალი სერია „სქანი ჭარალუა“ („შენი მწერლობა), რომლის ფარგლებშიც ის თანამედროვე ავტორები იქნებიან წარმოდგენილი, რომლებიც მეგრულად წერენ. ამჯერად დაბეჭდეს ზაალ ჯალაღონიას ლექსები „სოთინ ვა ვორდინ თიმწკუმა“ („სადაც არ ვიყავი, იქ“), რომელსაც „ინტელექტი“ ავრცელებს.

„რატომღაც მარგინალიზებულია ეს თემა. ფიქრობენ, რომ მეგრულად მარტო ფოლკლორი და კლასიკა უნდა გამოიცეს, თანამედროვე არაფერი. მეგრულადაც უნდა გამოიცეს და სვანურადაც, რადგან არიან ავტორები, რომლებიც ამ ენებში ხედავენ თავიანთ პოეტურ პოტენციალს“, — ამბობს „ინტელექტის“ წარმომადგენელი ზვიად კვარაცხელია.

კომპანია „სხივიც“ მეგრულის პოპულარიზაციით არის დაკავებული. სერიაში „ჩემი მეგრული ჯადოსნური ზღაპრები“ პირველი არაკი დაბეჭდეს — დევისგან მოტაცებული ქალის დაბრუნებას თავადი ცდილობს.

„მხოლოდ ორი დღის განმავლობაში 200-ზე მეტი წიგნი გაიყიდა. ეს არის ზღაპრები, რომლებიც ალექსანდრე ცაგარელმა 140 წლის წინ ჩაიწერა სოფლებში. ჯერ ერთი გამოვეცით და კიდევ 9 წიგნის გამოცემა გვსურს, ქართულ და მეგრულ ენებზე“, — ამბობს **მარგო ლუჩკო,** გამომცემლობა „სხივის“ დირექტორი.

„პალიტრა L“-მა ანი ერნოს „წლები“ წარუდგინა ფესტივალის სტუმრებს. ეს ავტორი წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა, შესაბამისად, მყიდველიც არ აკლია.

„ასევე გამოვეცით ადამ გრანტის „კიდევ დაფიქრდი“. ეს წიგნი საკუთარი შეხედულებების განახლებაზეა. თუ ადამიანს თავისი ცხოვრება არ მოსწონს, ამ წიგნში მოცემული სხვადასხვა ტექნიკები მას ამ ცხოვრების შეცვლაში დაეხმარება“, — ამბობს **მარიამ გიორგაძე,** „პალიტრა L“-ის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი.

წიგნების გამოფენა-გაყიდვის პარალელურად როგორც ტრადიცია, გაიმართა ახალი წიგნების წარდგინებები და ავტორებთან საინტერესო შეხვედრები.

თეა თოფურია



ოთხი ქართველი — ფესტივალის გამარჯვებული

თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ჟიურიმ გამარჯვებული ანიმაციური ფილმები გამოავლინა. საქართველოს კინოაკადემიის მიერ სხვადასხვა ნომინაციისთვის დაწესებული ჯილდოები გადაეცათ სტუდენტ რეჟისორებს, მათ შორის — ოთხ ქართველს, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. ფესტივალი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა.

საერთაშორისო ჟიურიმ, სხვა გამარჯვებულებთან ერთად, გამოავლინა გრან პრის მფლობელი ანიმაციური ფილმი **„მიტოვებული სოფელი“,** რომლის რეჟისორია მარიამ კაპანაძე. ღონისძიება დაიხურა ოსკარის მფლობელი ნორვეგიული სტუდიის ახალი ანიმაციური ფილმის, **„ტიტინას“,** ჩვენებით. ფესტივალის საზეიმო დასკვნით ნაწილს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

ფესტივალი კინოთეატრ „ამირანში“ გაიხსნა ფრანგული ანიმაციური ფილმით „შუმის ოდისეა“. საქართველოში ფესტივალი უკვე მეხუთედ ჩატარდა განახლებული და უფრო მრავალფეროვანი პროგრამით. მან წელსაც, როგორც წინა წლებში, დიდი დაინტერესება გამოიწვია საერთაშორისო ასპარეზზე. ფესტივალის პირველ ეტაპზე 100-ზე მეტი ქვეყნიდან რეკორდული რაოდენობის — 2500-ზე მეტი განაცხადი შემოვიდა. 18 საკონკურსო და არასაკონკურსო პროგრამაზე საჩვენებლად 46 ქვეყნიდან 187 სრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმი შეირჩა.

თბილისის საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალის მთავარი სამიზნე აუდიტორია ახალგაზრდები და მოზარდები არიან, რომლებსაც შესაძლებლობა ეძლევათ დიდ ეკრანზე ნახონ ბოლო პერიოდში შექმნილი სხვადასხვა ქვეყნის ახალი ანიმაციური ფილმები. წელს ფესტივალმა აუდიტორიას რამდენიმე სექცია შესთავაზა. საკონკურსო და კონკურსგარეშე პროგრამების გარდა, მაყურებელმა იხილა მსოფლიო კლასიკად აღიარებული ფილმები, გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის ანიმაციურ ნამუშევრებს და დაესწრო ახალგაზრდებისთვის საერთაშორისო დონის რეჟისორთა მიერ ჩატარებულ მასტერკლასებს.

ქართული ანიმაციის ისტორია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ილებს სათავეს და განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მაყურებელს სთავაზობს დასამახსოვრებელ სიუჟეტებს, რომელთა ნაწილი ეროვნული მოტივების გავლენით, ლიტერატურული ნაწარმოებების, ფოლკლორისა თუ ქორეოგრაფიული ელემენტების გამოყენებით არის შექმნილი.

1. გააუქმებს ნეთანიაჰუ ლიბანთან ხელშეკრულებას?!

უკრაინის ომის ფონზე, შეუმჩნეველი დარჩა ერთი მნიშვნელოვანი ამგავი, რომელიც ახლოაღმოსავლეთს ეხება: 27 ოქტომგერს, ლიგანსა და ისრაელს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საზღვრის დადგენის შესახებ. შეთანხმება ყოველმხრივ უნიკალურია, რადგან, ეს ორი ქვეყანა, წლეგია, რაც ერთმანეთთან ომის მდგომარეოგაში იმყოფება... ამიტომ, ხელშეკრულების გაფორმებაც არაორდინალურ ვითარებაში ჩატარდა.

ლიბანის პრეზიდენტმა, მიშელ სულეიმანმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იაირ ლაპიდმა, ერთმანეთთან შეხვედრის გარეშე, ცალ-ცალკე, მოაწერეს ხელი შეთანხმებას. მოგვიანებით, შეთანხმება ამერიკის წარმომადგენელს გადასცეს გაეროს მიერ კონტროლირებად სასაზღვრო პუნქტზე. ამერიკელ ემისართან ერთად იყვნენ საფრანგეთის ელჩი ლიბანში და გაეროს წარმომადგენლები, რომლებმაც, ასევე, მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას და ლიბანის მთავრობის წარმომადგენლებს გადასცეს.

რატომ არის ეს შეთანხმება ორივე ქვეყნისთვის ასე მნიშვნელოვანი? მოგეხსენებათ, ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გაზის დიდი საბადოებია აღმოჩენილი, რომლის დამუშავებას ამ რეგიონის ქვეყნების ერთმანეთთან არაკეთილმეზობლური ურთიერთობა უშლის ხელს, მაგალითად, თურქეთის კვიპროსთან, და ლიბიის ეგვიპტესა და ისრაელთან. რაც შეეხება ისრაელსა და ლიბანს, მათ სხვა ბევრ უთანხმოებასთან ერთად, პრობლემა ჰქონდათ საზღვრის საბოლოო დემარკაციასთან დაკავშირებით.

ახლა უკვე, ამ შეთანხმების მიხედვით, ორივე ქვეყანას შეუძლია გაზის საბადოებიდან ბუნებრივი აირის მიღება. ხელშეკრულების მიღწევისას, ყველაზე პრობლემური საკითხი ისრაელის ეჭვი იყო, რომ ირანის კომპანიები დროს იხელთებენ და ლიბანის გაზის წარმოებაში ჩაებმებიან. უნდა ითქვას, რომ, ამ საკითხში, ლიბანის მთავრობა დიდ დათმობაზე წავიდა ისრაელის მიმართ. საქმე იმაშია, რომ ლიბანი გარანტიას აძლევს ისრაელს, რომ არც ირანული კომპანიები და არც პროირანული ბოევიკები ხმელთაშუაზღვის აკვატორიის ამ უაღრესად სენსიტიურ სეგმენტს არ გაეკარებიან, და თუ ლიბანი დაარღვევს შეთანხმებას, ისრაელი იტოვებს უფლებას, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ლიბანის მთავრობის კომპრომისმა საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია, თუმცა მიზეზი ცხადია და უდავო. ლიბანი შიმშილის პირასაა და საბადოებიდან მიღებული თანხა დიდ შეღავათს მისცემს ქვეყნის ეკონომიკას. ამ საბადოებით, ევროკავშირიც უაღესად არის დაინტერესებული.

იტალიის ენერგოკომპანიამ „ენიმ“ და ფრანგულმა კომპანიამ „ტოტალმა“ ეს ინტერესი უკვე გამოხატეს. აღსანიშნავია, რომ ხსენებული შეთანხმება ლიბანსა და ისრაელს შორის, ასევე, დიდ გავლენას იქონიებს მათ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. ლიბანი ოფიციალურად არ სცნობს ისრაელს. ამ შეთანხმებით კი, მან ირიბად აღიარა ისრაელის სახელმწიფო. თავად ისრაელში, ეს შეთანხმება სხვადასხვანაირად აღიქვეს. პრემიერ-მინისტრმა ლაპიდმა და მისმა მომხრეებმა მას დიდი დიპლომატური გამარჯვება უწოდეს.

მხოლოდ ოპოზიციამ და მისმა ცნობილმა ლიდერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ შეთანხმებას ჰეზბოლას მიმართ ისრაელის კაპიტულაცია დაარქვეს. ბიბი ნეთანიაჰუმ განაცხადა, როგორც კი ისრაელის სათავეში მოვალ, მაშინვე გავაუქმებ ამ ხელშეკრულებასო. მუქარა საკმაოდ რეალური აღმოჩნდა, რადგან, პირველ ნოემბერს, ისრაელში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა და მემარჯვენე კოალიციამ უმრავლესობა მოიპოვა. ამით, ფაქტობრივად, ნეთანიაჰუს გზა გაეხსნა პრემიერ-მინისტრობისკენ, რაც მისთვის სულაც არ არის ახალი ხილი.

კოალიციის შეკოწიწებასა და მინისტრის პორტფელების განაწილებასაც ისტორიულადაა მიჩვეული. ნეტანიაჰუს გამარჯვების ფონზე, ამ შეთანხმების შესახებ კომენტარი გააკეთა ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ნაჯიბ მიკატიმ: სულ არ მაშინებს ფიქრი იმაზე, თუ რა ელის ამ ხელშეკრულებას, რადგან, თავად ამერიკაა მისი გარანტი, ამიტომ, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ მოვიდოდა ისრაელის სათავეშიო, განაცხადა პრემიერ მინისტრმა.

და მართლაც, ამ შეთანხმებას ხელი მხოლოდ ამერიკის ადმინისტრაციის დახმარებითა და უშუალო ჩარევით მოეწერა. ამერიკის მთავრობის წარმომადგენელს ეიმოს ჰოკსტაინს მოლაპარაკებათა არაერთი რაუნდი, დიპლომატური ნიჭი და ადამიანური ძალისხმევა დასჭირდა, რომ ეს შეთანხმება შემდგარიყო. ისრაელის ანალიტიკოსები ვერ იჯერებენ, რომ შეთანხმება შეიძლება გაუქმდეს, რადგან, ის მართლაც მომგებიანია ისრაელისთვის. სავარაუდოდ, ბიბი, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი და, რაც მთავარია, ცნობილი პოპულისტი, შეეცდება შეთანხმება თავის პლიუსებში მიითვალოს.

ასეა თუ ისე, შეთანხმება ლიბანსა და ისრაელს შორის კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს არაბული ქვეყნების ისრაელთან შერიგების გზაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ შერიგებაში, ეკონომიკამ უფრო დიდი როლი ითამაშა ვიდრე პოლიტიკამ. მარქსიზმის სუნი დამდგარა ახლო აღმოსავლეთში და ეგაა, ანუ ბაზისს მიცემია უპირატესობა ზედნაშენთან შედარებით.

2. პორტუგალია კანონმორჩილი ქვეყანა ხდება!

პორტუგალიის რესპუბლიკის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი, ანტონიუ ლუიშ სანტუშ და კოშტა, რომელიც ქვეყანას, უკვე, შვიდი წელია, რაც საკმაოდ დიდი წარმატებით მართავს, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ოჯახში, 1961 წელს, პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში დაიბადა. მამა, ორლანდო და კოშტა, მწერალი და პოეტი, ნახევრად ინდოელია. წარმოშობით გოადან იყო, თუმცა, გავშვებიდან პორტუგალიაში ცხოვრობდა. თავად პრემიერ ანტონიუ კოშტას არაერთხელ უთქვამს, რომ ეამაყება თავისი ინდური წარმოშობა. არ მიკვირს!

ალბათ,ზუსტად ასე ფიქრობს დიდი ბრიტანეთის ინდური წარმომავლობის პრემიერიც. შეგახსენებთ, გოა, ინდოეთის ყველაზე პატარა შტატი, ქვეყნის სამხრეთ დასავლეთში მდებარეობს, რომელიც მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე პორტუგალიის კოლონია იყო.

პრემიერის მამა პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩაბმული, როგორც პორტუგალიის კომუნისტური პარტიის წევრი. ამის გამო, დიქტატორ სალაზარის მმართველობის ხანაში, ხშირადაც მჯდარა ხოლმე ციხეში. ანტონიუ კოშტას დედას, მარია ანტონია პალას, საზოგადოება იცნობს, როგორც გამოჩენილ პორტუგალიელ ჟურნალისტსა და ფემინისტური მოძრაობის აქტიური წევრს. კოშტას ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ პორტუგალიის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ანტონიუ ლისაბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოხვდა და სტუდენტობაშივე ჩაება პორტუგალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მალე, ის პორტუგალიის სოციალისტური პარტიის ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

პარტიული გაზეთის მთავარი რედაქტორიც იყო. ჯერ კიდევ სტუდენტმა კოშტამ ლისაბონის საკრებულოს არჩევნებში მიიღო მონაწილეობა და დედაქალაქის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი გახდა.

1991 წელს, ანტონიუ კოშტა პორტუგალიის პარლამენტის წევრად აირჩიეს. ამავე დროს, ის თავისი პარტიის პოლიტბიუროს წევრიც იყო. 1995 წელს, კოშტა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, ანტონიო გუტერეშის კაბინეტის წევრი გახდა და 1997-99 წლებში პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი იყო პორტუგალიის პარლამენტში.

2007 წელს, სოციალისტურმა პარტიამ, ლისაბონის მერის არჩევნებზე, ანტონიუ კოშტა თავის კანდიდატად წამოაყენა. მან ეს არჩევნები დამაჯერებლად მოიგო და ლისაბონის მერი გახდა. თავის მერობის დროს, კოშტამ მერიის მთავარი ოფისი ქალაქის ცენტრიდან ღარიბ უბანში გადაიტანა იმ მიზნით, რომ ჩამორჩენილი უბნის გალამაზებისა და მოდერნიზაციისთვის ბიძგი მიეცა...

მხოლოდ სოციალისტი თუ მოიფიქრებდა ამის გაკეთებას, თუმცა, მსოფლიოს ისიც ახსოვს, რომ ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა, თავისი პოსტსაპრეზიდენტო მოღვაწეობისთვის ნიუიორკის უღარიბეს უბანში, ჰარლემში დაიდო ბინა.

2014 წელს ანტონიუ კოშტა სოციალისტური პარტიის ლიდერად აირჩიეს. ერთი წლის შემდეგ, სოციალისტურმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. მისი ლიდერის გამჭრიახობას უნდა უმადლოდეს პარტია, რომ კოალიციის შექმნა მოახერხა.

მაშინ, მხოლოდ ამ გონივრული ნაბიჯის გადადგმის წყალობით მოვიდა ქვეყნის სათავეში პორტუგალიის სოციალისტური პარტია და მისი ლიდერი. ასე და ამგვარად, თუმცა, არც ძალიან მოულოდნელად, გახდა ანტონიო კოშტა ქვეყნის 119-ე პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის სათავეში მისი ყოფნის დროს, პორტუგალიაში დაიწია უმუშევართა რიცხვმა და გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა.

2019 წლის საპარლამენტო არჩევნებში, თითქმის, ერთი-ერთში გამეორდა წინა არჩევნების შედეგები. თუმცა, მოგების მიუხედავად, სოციალისტურმა პარტიამ, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობის შესაქმნელად, მაინც ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა.

ამიტომ, სოციალისტურ პარტიას ისევ კოალიციის შექმნა მოუწია. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი კვლავ ანტონიუ ლუიშ სანტუშ და კოშტა გახდა. მისი პრემიერობის ხანაში პორტუგალიამ ტყის უმძიმესი ხანძრები გადაიტანა, რომლის დროსაც, ასობით ჰექტარი ტყე განადგურდა და ათობით ადამიანი დაიღუპა. 2021 წლის 27 ოქტომბერს, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც ანტონიო კოშტას ხელმძღვანელობით წარედგინა მთავრობას. ოპოზიციურმა პარტიებმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მოითხოვეს.

ქვეყნის პრეზიდენტმა პარლამენტი დაითხოვა და 30 იანვარს, რიგგარეშე არჩევნები დანიშნა, რომელშიც, სოციალისტურმა პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა, ანუ მკვეთრად გაიმყარა პოლიტიკური მდგომარეობა. ამრიგად, სოციალისტური პარტია და მისი ლიდერი ანტონიუ კოშტა ზედიზედ მესამეჯერ მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. ამ განსაცვიფრებელი გამარჯვების შემდეგ, მან პირობა დადო, რომ პორტუგალიას უფრო სამართლიან ქვეყნად აქცევდა.

ანტონიუ კოშტა 26 წლის ასაკში დაქორწინდა. მისი მეუღლე ფერნანდეს მარია გონსალვეშ ტრევისი, პროფესიით, მასწავლებელია. წყვილს ორი შვილი, ერთი ვაჟი და ერთი გოგონა ჰყავთ.

ნუგზარ ბ. რუხაძე

ყველაზე ხანგრძლივი რეცესია ინგლისის ბანკში

ინგლისის ბანკი საზოგადოებას აფრთხილებს, რომ დიდ ბრიტანეთს ყველაზე გრძელი რეცესია ემუქრება. ბანკმა ბოლო 33 წლის განმავლობაში ყველა მაღალი საპროცენტო განაკვეთები დაადგინა.

ბანკი აცხადებს, რომ დიდ ბრიტანეთს 2025 წლისთვის ძალიან რთული ორწლიანი ვარდნა ელოდება და უმუშევრობის დონე თითქმის გაორმაგდება. ბანკის ხელმძღვანელმა ენდრიუ ბეილიმ გააფრთხილა გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები, რომ „წინ რთული გზაა“. მისივე თქმით, ახლა საჭიროა მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიანებით ყველაფერი გაუარესდება. ბანკმა საპროცენტო განაკვეთები 2.25%-იდან 3%-მდე ასწია, რაც ყველაზე დიდი ნახტომია 1989 წლის შემდეგ. განაკვეთების გაზრდით ბანკი ცდილობს შეამციროს მზარდი ფასები, რადგან ცხოვრების ღირებულება 40 წლის განმავლობაში ყველაზე სწრაფი ტემპით იზრდება.

სურსათსა და ენერგიაზე ფასები გაიზარდა, რაც ნაწილობრივ გამოწვეულია უკრაინის ომის გავლენით, რის გამოც უამრავი ოჯახი გაჭირვების წინაშეა. მდგომარეობა რეცესიად განისაზღვრება, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა იკუმშება ზედიზედ ორი-სამი თვის განმავლობაში, ან კვარტალში. როგორც წესი, კომპანიები ნაკლებ ფულს შოულობენ, ხელფასები მცირდება და უმუშევრობა იზრდება. ეს ნიშნავს, რომ მთავრობა იღებს ნაკლებ ფულს გადასახადის სახით, რათა გამოიყენოს ისეთ საჯარო სერვისებზე, როგორიცაა ჯანდაცვა და განათლება.

აფხაზების მუჰაჯირობა

აფხაზები წებელდიდან

ჩრდილოეთ კავკასიაში ტერმინი „მუჰაჯირი“, რაც არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს, სხვა მნიშვნელობით გამოიყენება – „განდევნილები“. მთიელები ოსმალეთის იმპერიაში თავისი ნებით არ მოხვედრილან. რამდენი აფხაზი ცხოვრობს დღეს თურქეთში და რამდენად მოახერხეს საკუთარი კულტურისა და ენის შენარჩუნება?

ამ თემაზე გადაცემა „კავკასიის ქრონიკებში“ ისტორიკოსი მაირბეკ ვაჩაგაევი მიხაილ გუმბას ესაუბრება. მიხაილ გუმბა თვითგამოცხადებული აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

– რამ აიძულა აფხაზები მე-19 საუკუნეში ისტორიული სამშობლო დაეტოვებინათ და ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყვნენ?

– ეს ბევრმა რამემ გამოიწვია. მე-19 საუკუნის დასაწყისში კავკასიაში ასეთი ვითარება შეიქმნა: რუსეთის იმპერიამ 1783 წელს ყირიმის სახანო შეიერთა, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა ოსმალეთის იმპერიის ინტერესებს შავ ზღვაზე. ამის შემდეგ რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოსთან გეორგიევსკის ტრაქტატს აფორმებს, 1804 წელს კი უკვე დასავლეთ საქართველოში შემოდის. ამ დროს აფხაზეთს ქელეშ-ბეი ჩაჩბა მართავდა. ის მიხვდა, რომ თურქეთი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მისი პარტნიორი ქვეყანა იყო, სუსტდებოდა და შეეცადა რუსეთთანაც გამოენახა საერთო. არ სურდა აფხაზეთი რუსეთ-თურქეთის ბრძოლის ველად ქცეულიყო. მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთსა და თურქეთს შორის მუდმივად ომები იყო, ხან ბალკანეთში, ხან შავი ზღვის პირას, ხან ყირიმში... ქელეშ-ბეი ჩაჩბა თურქეთის სულთანსა და რუსეთის იმპერიას შორის ლავირებას ცდილობდა, არც თურქებს და არც რუსებს საშუალება არ მისცა, აფხაზეთი თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ.

1808 წლის 2 მაისს ჩაჩბა სოხუმის ციხე-სიმაგრეში მოკვლეს, თავის რეზიდენციაში. მის შვილებს ასლან-ბეისა და საფარ-ბეის შორის განხეთქილება მოხდა. ასლან-ბეის ოსმალეთის იმპერია ეიმედებოდა, საფარ-ბეიმ კი, რომელიც მეგრელების (დადიანის) სიძე იყო, მხარდაჭერა სამეგრელოში პოვა, სამეგრელო კი უფრო რუსეთს უჭერდა მხარს. 1810 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსულმა სამხედრო გემებმა სოხუმის ციხე-სიმაგრე შტურმით აიღეს და თურქული გარნიზონი განდევნეს. პროთურქული ორიენტაციის მქონე ასლან-ბეი იძულებული გახდა აფხაზეთი დაეტოვებინა. მან თან ოჯახი და ახლობლებიც წაიყვანა. სწორედ ამის გამო 1810 წელი მუჰაჯირობის პირველი ტალღის პერიოდად ითვლება. ამის შემდეგ აფხაზეთის მართვას საფარ-ბეი შეუდგა.

1824 წელს ასლან-ბეის შემოჭრამ და დამარცხებამ, ასევე იმ კონფლიქტებმა, რომელიც ამ მოვლენას 1830 და 1837 წლებში მოჰყვა, მუჰაჯირობის ახალი ტალღა გამოიწვია.

1866 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა კონიარმა და მისმა ხელქვეითებმა ჩერეპოვმა და იზმაილოვმა ხალხი ლიხნის მოედანზე შეკრიბეს და გამოუცხადეს, რომ აფხაზეთში ბატონყმობა გაუქმდებოდა, სანაცვლოდ კი მათ აზნაურებისთვის გამოსასყიდი უნდა გადაეხადათ. ჩინოვნიკებმა ისიც კი ვერ გააცნობიერეს, რომ აფხაზეთში ბატონყმობა (საუბარია ბატონყმობის იმ წესზე, რომელიც რუსეთში იყო გავრცელებული რ.თ.) არც არასდროს ყოფილა. როდესაც ხალხს უთხრეს, რომ თავისუფლების სანაცვლოდ თავადებისთვის უნდა გადაეხადათ, შოკში ჩაცვივდნენ.

შეურაცხყოფილები იყვნენ როგორც უბრალო გლეხები (ისინი არასდროს ყოფილან მონები), ასევე აზნაურები და თავადები. ამ გაუაზრებელმა განცხადებამ ლიხნის აჯანყება გამოიწვია. დახოცეს პოლკოვნიკი კონიარი, მისი ჩინოვნიკები ჩერეპოვი და იზმაილოვი, 4 ოფიცერი და 50 კაზაკი. რუსეთმა აფხაზეთში მაშინვე გაგზავნა სამხედრო ძალა. დაიწყო რეპრესიები, დაპატიმრებები... ხალხს იარაღს ართმევდნენ და ციმბირში კატორღაზე აგზავნიდნენ. რეპრესიებისთვის თავი რომ დაეღწიათ ადგილობრივებმა თურქეთში გადასახლება დაიწყეს. მიიჩნევა, რომ ამ დროს აფხაზეთი 20 ათასმა კაცმა დატოვა.

1877 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის მორიგი ომი დაიწყო. თურქულმა ჯარმა სოხუმის ციხე-სიმაგრე აიღო. რუსეთმა კონტრშეტევით უპასუხა, რის შემდეგაც თურქებმა აფხაზეთი დატოვეს. უნდა ითქვას, რომ 1877-1878 წლების მუჰაჯირობა ყველაზე მასობრივი და ტრაგიკული იყო. მეფის ბრძანებით, აფხაზებს აეკრძალათ აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში, ასევე ზღვის გაყოლებაზე დასახლებულიყვნენ.

ხალხს ძალით მიერეკებოდნენ სანაპიროზე, სადაც უკვე გემები იდგა. თურქეთის ხელისუფლებასთან შეთანხმება ჰქონდათ დადებული. თურქეთი, როგორც იმპერია იშლებოდა და ახალი სისხლი სჭირდებოდა, კავკასიელი ახალგაზრდები, რომლებიც მისი ინტერესების გამო თავს გაწირავდნენ. ხალხი გემებზე აჰყავდათ და თურქეთში აგზავნიდნენ. ამ გადასახლების შემდეგ აფხაზეთის შუა ნაწილი ფაქტობრივად დაცარიელდა. იქ აფხაზები ახლაც კი ნაკლებად ცხოვრობენ.

– რა მასშტაბი ჰქონდა გადასახლებას?

– საუბარია დაახლოებით 50 ათას ადამიანზე. თუმცა, აფხაზი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შესაძლოა 100 ათასი და მეტიც ყოფილიყო. წარმოიდგინეთ ცენტრალური ნაწილი დაცარიელდა, იმ ხალხს კი, ვინც აფხაზეთში დარჩა, ზღვის პირას ცხოვრება აუკრძალეს, საკუთარ მიწაზე, თავიანთ ისტორიულ სამშობლოში.

– ოსმალეთის იმპერიაში ზღვით წავიდნენ?

– ზღვით! გემები ხალხით იყო სავსე. ვერ სუნთქავდნენ. თან აუტანლად ცხელოდა. უწყლობისგან და შიმშილისგან იხოცებოდნენ. ეპიდემიამ ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. უკვე თურქეთში აფხაზები ე.წ. საკარანტინო ბანაკებში მოხვდნენ, იქაც აუტანელ პირობებში. კარანტინი ხანდახან თვეობით გრძელდებოდა. ამის შემდეგ მათ მთელ იმპერიაში ანაწილებდნენ, აძლევდნენ მიწებს, რომლებიც შეეძლოთ დაემუშავებინათ.

– აფხაზებს ერთად ასახლებდნენ თუ სხვადასხვა ადგილებში?

– თავდაპირველად ეთნიკური ნიშნით ჩაასახლეს, ანუ ერთად, ძირითადად ოსმალეთის იმპერიის სასაზღვრო მიწებზე, რადგან საზღვარზე მაშინ დაძაბული ვითარება იყო. ელიტა მაშინვე სულთანის სამსახურში ჩადგა და მისგან პრივილეგიებიც მიიღო: მიწები, ხელფასი... გლეხებს უფრო უჭირდათ.

– გადასახლების შემდეგ მათი ცხოვრების წესი, სოციალური წყობა შეიცვალა?

– თავდაპირველად შეინარჩუნეს ის წყობა, რომელიც მანამდე ჰქონდათ, მაგრამ თურქეთი თავის კვალს მაინც ტოვებს. აფხაზები, ადიღელები, ადგილობრივი ტრადიციების გამო ნელ-ნელა იცვლებოდნენ.

– რა როლი დაეკისრა ამ შემთხვევაში თავადაზნაურობას? ჰქონდათ რამე გავლენა თანამემამულეებზე?

– აზნაურობას გლეხების ცხოვრებაში აქტიურად ჩარევა აფხაზეთშიც კი არ შეეძლო. გლეხები თავისუფლები იყვნენ. ყველაზე ძლევამოსილი თავადებიც კი ერიდებოდნენ მათ განაწყენებას, მათი ღირსების შელახვას. დიდი თავადი ქელეშ-ბეი ჩაჩბა პირველ რიგში სწორედ გლეხობას ეყრდნობოდა, მათი დახმარებით შეძლო აფხაზეთი ასე კარგად ემართა. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ თავადაზნაურობა გლეხობაზე რამე გავლენას ახდენდა. თავადს ავტორიტეტი ჰქონდა, მაგრამ არა ძალა. მისი არ ეშინოდათ. ამგვარი რამ აფხაზეთში არასდროს ყოფილა. თავადები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, გლეხები – თავიანთი. ვერ ვიტყვით, რომ გლეხები თავადებს ემორჩილებოდნენ.

– რას აკეთებდნენ აფხაზები ენის, ტრადიციების შესანარჩუნებლად?

– თურქეთის ხელისუფლება ნაციონალურ ანკლავებს დიდად არ სწყალობს. ყველა, ვინც თურქეთში ცხოვრობს მათთვის თურქია და თურქულად უნდა საუბრობდეს. ამ პირობებში აფხაზები და ადიღელები საკუთარ ენას და კულტურას მაინც ინარჩუნებდნენ. დღეს როდესაც აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები თურქეთიდან ჩამოდიან, აფხაზურად თავისუფლად ლაპარაკობენ.

მაირბეკ ვაჩაგაევი

„აშშ არ მოითმენს თავის არჩევნებში ჩარევას“

ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა ნედ პრაისმა ბრიფინგზე არჩევნებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე განაცხადა.

„ჩვენ ყველამ ვიცით, განსაკუთრებით დღეს, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები არის ამერიკული საზოგადოების, ამერიკული დემოკრატიის ქვაკუთხედი. ჩვენ არ მოვითმენთ ჩვენს არჩევნებში ჩარევას, საიდანაც არ უნდა ხდებოდეს ეს. ჩვენ ვაჩვენეთ ეს არა მხოლოდ ჩვენი სიტყვებით, არამედ ჩვენი ქმედებებითაც“, – აღნიშნა ნედ პრაისმა.

აშშ-ის არჩევნებში ვერეოდით, ვერევით და ჩავერევით

ასე გამოეხმაურა კრემლთან დაახლოებული ბიზნესმენი ევგენი პრიგოჟინი აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ გამოთქმულ ბრალდებებს.

პრიგოჟინს ჟურნალისტებმა მიმართეს თხოვნით, კომენტარი გააკეთოს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ 8 ნოემბრის კონგრესის შუალედური არჩევნების წინ ამერიკელმა ანალიტიკოსებმა არჩევნებთან დაკავშირებული ინტერნეტ-ტროლების აქტივობა აღმოაჩინეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ისინი რუსეთთან არიან დაკავშირებული.

„მე თქვენ გიპასუხებთ ძალიან დახვეწილად, დელიკატურად და ბოდიშის მოხდით, დავუშვებ გარკვეულ ორაზროვნებას. ბატონებო, ჩვენ ვერეოდით, ვერევით და ჩავერევით. ფრთხილად, სიზუსტით, ქირურგიულად, ჩვენებურად, როგორც ეს ვიცით. ჩვენი წერტილოვანი ოპერაციების დროს მოვკვეთთ ერთდროულად ორივე თირკმელს და ღვიძლს“, – ნათქვამია კრემლთან დაახლოებული ბიზნესმენის ევგენი პრიგოჟინის განცხადებაში, რომელიც მისმა კომპანიამ გაავრცელა. პრიგოჟინი აშშ-ის არჩევნებში ჩარევის გამო სასანქციო სიაშია შეყვანილი და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ არის ძებნილი. ის მიიჩნევა სანკტ-პეტერბურგში დაფუძნებული „ინტერნეტ-კვლევების სააგენტოს“ მფლობელად, რომელიც ასევე „ტროლების ფაბრიკის“ სახელით არის ცნობილი.

ჩვენი დემოკრატია საფრთხეშია, ახლა არის მომენტი, დაიცვათ ის



კონგრესის შუალედურ არჩევნებამდე მერილენდში მხარდამჭერებს მიმართა პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელმაც განაცხადა, რომ დემოკრატია საფრთხის წინაშეა. მან ამომრჩევლებს დემოკრატიის დაცვისკენ მოუწოდა.

„დღეს ჩვენ გარდამტეხი მომენტის წინაშე ვართ, ეს არის ის მომენტი, რომელიც სამ-ოთხ თაობაში ერთხელ დგება. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი დემოკრატია საფრთხის წინაშეა და ვიცით, რომ ახლა არის თქვენი მომენტი, დაიცვათ ის, შეინარჩუნოთ ის, აირჩიოთ ის“, – განაცხადა ბაიდენმა. აშშ-ის პრეზიდენტის თქმით, 8 ნოემბრის არჩევნები განსაზღვრავს მომავალ ათწლეულებს. აღსანიშნავია, რომ 8 ნოემბრის კონგრესის შუალედური არჩევნების შედეგად გადაწყდება, რომელი პარტია გააკონტროლებს კონგრესს. ამჟამად წარმომადგენელთა პალატაშიც და სენატშიც უმრავლესობას დემოკრატები ფლობენ.

ილონ მასკი „რესპუბლიკელებს“ აძლევს ხმას

ამერიკელი მილიარდერი, „ტვიტერის“ ახალი მფლობელი ილონ მასკი დამოუკიდებელ ამომრჩეველს მოუწოდებს, რომ აშშ-ის კონგრესის შუალედურ არჩევნებზე ხმა „რესპუბლიკელებს“ მისცენ.

მისი თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დემოკრატია, „რესპუბლიკელებისთვის“ ხმის მიცემა ოპტიმალური გადაწყვეტილება იქნება. **„დამოუკიდებელ ამომრჩევლებს: გაზიარებული ძალაუფლება ორივე პარტიის ყველაზე ცუდ ექსცესებს აკავებს, ამიტომ, მე გირჩევთ ხმა მისცეთ რესპუბლიკურ კონგრესს იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი დემოკრატია“,** – წერს მასკი „ტვიტერზე“.

◎ რაბი ჩვენი თამაშია



გორგაძის ბენეფისი

როგორც მოგეხსენებათ, ნოემბრის ტესტ-მატჩები ბორჯღალოსნებმა „დინამო არენაზე“ ურუგვაისთან შეხვედრით გახსნეს, 12-ში ასევე ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე სამოას უმასპინძლებენ, ხოლო 19-ში კარდიფში მრისხანე უელსს ეწვევიან.

ტრადიციისამებრ, სამხრეთამერიკელებთან სასტარტო ბრძოლამდე ჩვენი ქვეყნის ეროვნული გუნდის წევრებმა შევარდენის სანაკრებო ბაზაზე გულშემატკივართათვის, როგორც წესია, ღია ვარჯიში გამართეს და ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს:

გიორგი კვესელაძე: „მაღალი ინტენსივობის ძალზე კარგი ვარჯიში გვქონდა. ვფიქრობ, უკვე შევთამაშდით და შემოდგომის ტესტებს მომზადებულნი ვხვდებით. მიზანი, რა თქმა უნდა, სამივე შეხვედრის მოგებაა და, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. გვყავს დებიუტანტები, რომლებმაც მარტივად აუღეს ალღო ტრავმირებულ ლიდერთა სიმრავლით შექმნილ ვითარებას და მათ არყოფნაში ოპტიმალური კონდიციები აკრიფეს. განვიხილეთ აგრეთვე მეტოქის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და მას ჩვენ ძლიერ მხარეებს დავუპირისპირებთ“.

ბექა საღინაძე: „სამწუხაროდ, გვყავს ტრავმირებული მოთამაშეები, მაგრამ სპორტი დანაკლისის გარეშე წარმოუდგენელია. მათ დებიუტანტები შეცვლიან და მათთან ერთად ინტენსიურად ვივარჯიშებთ. ძალიან დიდი ენერგია გვაქვს და მას სწორი მიმართულება უნდა მივცეთ. იტალიასთან ისტორიული გამარჯვების შემდეგ ჩვენი თამასა იმდენად აიწია, რომ უფლება არ გვაქვს ურუგვაისთან ხარისხიანი თამაში არ ვაჩვენოთ“.

თამაშმა დაადასტურა, რომ ღირსეული ახალი თაობა გვეზრდება, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა მაინც ძველმა გვარდიამ თქვა. შეხვედრის გმირად ბექა გორგაძე მოგვევლინა, რომელმაც პირველ ტაიმში სტუმრებს 3(!) ლელო გაუტანა, ხოლო შესვენების შემდეგ სანაკრებო ძირითად შემადგენლობაში ნდობის გამოცხადება ასევე მეტოქის ჩათვლის მოედნის აღებით გურამ პაპიძემ აღნიშნა.

სხვათა შორის, ეს ამ გუნდების მე-7 მატჩი და მასპინძელთა ზედიზედ მე-5 გამარჯვება იყო, ხოლო მერაბ შარიქაძემ მეორმოცედ უკაპიტნა ბორჯღალოსნებს.

საქართველო – URUGVAI 34:18
პირველი ტაიმი 24:13

საქართველო (15-9): ნინიაშვილი, ტაბუცაძე, კვესელაძე, შარიქაძე, თოდუა (თაფლაძე), აბჟანდაძე (მატკავა), ლობჟანიძე (პერანიძე); (1-8): გოგიჩაშვილი (აბულაძე), მამუკაშვილი (ჭყოიძე), პაპიძე (აბდალაძე) ჩაჩანიძე, მიქაუტაძე (ჭეიშვილი), გორგაძე, საღინაძე, ჯალაღონია (გორგაძე).

4 გარდასახვა, 2 საჯარიმო – **აბჟანდაძე**.

მსაჯი – **პოლ უილიამსი** (ახალი ზელანდია).

სხვა ტესტები: ინგლისი – არგენტინა 29:30, იტალია – სამოა 49:17, უელსი – ახალი ზელანდია 23:55, ირლანდია – სამხრეთ აფრიკა 19:16, საფრანგეთი – ავსტრალია 30:29, შოტლანდია – ფიჯი 28:18.

◎ ევროპის სტადიონებზე

მოსაწყენად ვის სცალია

ვიდრე მსუბუქად ტრავმირებული ხვიჩა კვარაცხელია ისვენებდა, საფეხბურთო სამყაროში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა.

დავიწყოთ თვით „ნაპოლის“ მორიგი გაბრწყინებით, რომელმაც ბერგამოში უახლოესი მდევარი „ატალანტა“ დაამარცხა – 2:1 და ახალ წლამდე სერია – ა-ს ლიდერობა გაინაღდა. მატჩის გმირმა ოსიმენმა ჯერ თვითონ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ პირველივე ტაიმში გაატანინა გამარჯვების გოლი „კვარას“. ჩრდილომაკედონიელ დუბლიორ ელმასის, რომელსაც რიკოშეტიც წაეხმარა.

იტალიური კლუბის ქართველი ვარსკვლავი მინდორს, სავარაუდოდ, ხვალვე დაუბრუნდება „ემპოლისთან“ საშინაო შეხვედრაში, ახლა კი ორიოდე სიტყვა ესპანეთში დაღვრილ ცრემლებსაც შევაწიოთ.

საუბარია „ბარსელონას“ ლეგენდარულ მცველ ჟერარ პიკეზე, რომელსაც „კამპ ნოუზე“ ლა ლიგაში „ალმერიასთან“ 2:0 მოგებული მატჩის შემდეგ შთამბეჭდავი კარიერის მოულოდნელად და სევდიანად დასრულების აღსანიშნავად ფეერიული გაცილება მოუწყვეს. მან ესპანეთის ნაკრების ღირსება 102-ჯერ დაიცვა.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა ჩემპიონთა ლიგა, უეფას სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი 3-3-ჯერ მოიგო, ესპანეთის ჩემპიონატი – 8-ჯერ, სამეფო თასი – 7-ჯერ, ქვეყნის სუპერთასი – 6-ჯერ. მის მდიდარ კოლექციას „მანჩესტერის“ შემადგენლობაში მოხვეჭილი ინგლისის პრემიერლიგის ოქროც ამშვენებს, სულ კი 616 თამაშში 53 ბურთი გაიტანა და 15 შედეგიანი პასი შეასრულა.

კატალონიის დამოუკიდებლობის აქტიური მომხრე იქაური გრანდის აკადემიაში 1997-2004 წლებში იწრთობოდა, ქომაგებს კი შემდეგი პოსტით გამოეთხოვა: **„ბარსელონასა“ და ფეხბურთის მოყვარულთა ოჯახში დავიბადე. ფეხბურთმა, „ბარსამ“ და გულშემატკივრებმა ყველაფერი მომცეს. „ბარსასადმი“ სიყვარულს ჩემ შვილებს გადავცემ ზუსტად ისევე, როგორც ეს ჩემმა მშობლებმა გააკეთეს. მე ადრე თუ გვიან დავბრუნდები. გაუმარჯოს „ბარსელონას“!**

ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით სანაკრებო თემასაც, რადგან 17 ნოემბერს თბილისის დროით 20 საათზე ვილი სანიოლის გუნდი წარმატებულ სეზონს დამდეგი მუნდიალის მონაწილე მაროკოელებთან არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში დახურავს და აღნიშნული ამხანაგური მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგვთავაზებს.

ტექნიკური ფეხბურთით გამორჩეული მეტოქე ყატარში მეოთხედ ითამაშებს უმაღლესი რანგის ფორუმზე და სადღეისოდ მას აფრიკელთაგან ფიფას რეიტინგში მეორე პოზიცია უკავია – 22-ე ადგილზეა, მისი ლიდერები კი წამყვანი ევროპული კლუბების სპორტულ ღირსებას იცავენ („ბაიერნი“, „პარი სენ-ჟერმენი“, „ჩელსი“, „სევილია“, „ფიორენტინა“), მწვრთნელი კი 47 წლის ვალიდ რეგრაგი გახლავთ.

დაბოლოს – რითაც დავიწყეთ, იმით დავასრულებთ: ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის წილისყრამ ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლის“ მეტოქედ ევროპა ლიგის მოქმედი ჩემპიონი „აინტრახტი“ არგუნა, თუმცა, ზოგიერთი სხვა წყვილის გათვალისწინებით, უარესიც შეიძლებოდა: „პსჟ“ – „ჰაიერნი“, „ლივერპული“ – „რეალი“, „დორტმუნდი“ – „ჩელსი“, „ინტერი“ – „პორტუ“, „მილანი“ – „ტოტენჰემი“, „ლაიფციგი“ – „სიტი“, „ბრიუგე“ – „बენფიკა“.

◎ მემორიალი

ჯემალი მასწ. მომიწოლებდა

საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ჯემალ მელაძემ მაგიდის ჩოგბურთელთა თაობები აღზარდა და სასიამოვნოა, მისი ღვაწლი რომ არ ავიწყდებათ.

ამ დღეებში აფხაზეთის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციისა და სასპორტო კომპლექსს „განთიადის“ ორგანიზებით უდროოდ გარდაცვლილი ამაგდარი სპეციალისტის საერთაშორისო მემორიალი გაიმართა აჭარის, აფხაზეთის, ლანჩხუთის, აბაშის, ქუთაისის, წყალტუბოს, თბილისის, რუსთავის, თეელავის, ნინოწმინდის და სომხეთის 80-მდე სპორტსმენის მონაწილეობით.

ორ ასაკობრივ ჯგუფში პრიზიორები გამოცდილი და უფრო მაღალი რეიტინგის მქონე ოსტატები გახდნენ.

15-წლამდელები

გოგონები: ანასტასია ჩხარტიშვილი (აფხაზეთი), თეკლა ლიპარტელიანი (თბილისი), არიანა გალუსტიანი (სომხეთი).

ვაჟები: ნიკა ჩხარტიშვილი (თბილისი), ჯონი მირზოიანი (სომხეთი), ნიკოლოზ უშვერიძე (ქუთაისი).

19-წლამდელები

გოგონები: თაკო რიჟვაძე (აჭარა), მარი რიჟვაძე (აჭარა), ასია პოღოსიანი (სომხეთი);

ვაჟები: ცოტნე ქობალია (აფხაზეთი), გიორგი გოდერძიშვილი (თბილისი), გიორგი ლიპარტელიანი (აბაშა).

25-27 ნოემბერს ბათუმი სარქის სარხოიანის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლებს.

მოკლედ

ჩოგბურთი

იერუსალიმი (ისრაელი). ქალთა 25.000-იანი ტურნირი. წყვილთა თანრიგი. სოფიო შაფათავა – პეი-ჩი ლი (ტაივანი) – I ადგილი. ისინი აღთქმულ მიწაზე მეოთხე ნომრად იყვნენ განთესილნი, ფინალში კი 61 წუთში დაამარცხეს მესამე ნომერი რუსული დუეტი კუდერმეტოვა – რეინგოლდის შემადგენლობით – 6:2, 6:4.

ფარიკაობა

სტამბოლი (თურქეთი). კადეტ მოხმალავე გოგონათა საერთაშორისო ტურნირი. 10 ქვეყნის 73 წარმომადგენელი. I ადგილი – 15 წლის ალექსანდრა კუვაევა. აღსანიშნავია, რომ მან თერთმეტივე ბრძოლა მოიგო.

თავისუფალი ჭიდაობა

ტალინი (ესტონეთი). ოლიმპიური ჩემპიონის კრისტიან პალუსა ლუს სახელობის საერთაშორისო ტურნირი. ოქრო – გიორგი შონია (65), ლუკა მარიამიძე (74), ანდრო მარგიშვილი (92), გიგა შავაძე (125). ჩვენმა 4-წევრიანმა (!) ნაკრებმა მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭილლაძე) 12 ქვეყანას შორის 23-წლამდელ ფალავნებში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

ძიუდო

ბაქო (აზერბაიჯანი) გრანდ სლემი. 11 „ჯვაროსანი“. „ბრინჯაო“ – ლაშა შავდათუაშვილი (73), ლუკა მაისურაძე (90).

ეროვნული გვარდიის ოცეული ცენტრალურ აფრიკაში გაეგზავნა

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 როტაციის ნაკრები ოცეული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო-საწვრთნელი მისიის (EUTM RCA) შესასრულებლად გაეგზავნა.

ქართველი მშვიდობისმყოფელები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა რომან ჯოხაძემ, გვარდიის სხვა წარმომადგენლებმა და საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ფრედერიკ კამპოსმა გააცილეს. მათ პირად შემადგენლობას მისიის ღირსეულად შესრულება და მშვიდობით დაბრუნება უსურვეს. ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები კაპიტან თორნიკე ღარიბაშვილის მეთაურობით, სამხედრო-საწვრთნელ მისიას (EUTM RCA) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში, „მპოკოს“ ბაზაზე მოანას კემპზე შეასრულებენ. ქართველი მშვიდობისმყოფელების მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოება, მოტორიზებული პატრული, კონვოირება და გაცილება იქნება.

შს სამინისტროს კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ დასკვნითი ღონისძიება ქუთაისში გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის — „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, კიდევ ერთი, დასკვნითი საზოგადოებრივი ღონისძიება ქუთაისში, დავით აღმაშენებლის სახელობის მოედანზე გაიმართა, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეებთან წლის ბოლომდე გაგრძელდება. ქუთაისი ცენტრალურ მოედანზე სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობა ჩატარდა. ღონისძიებას დაესწრნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი ვაჟა სირაძე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსი ვასილ პეტრიაშვილი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი — ზაზა ცხაკაია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი — თეიმურაზ მღებრიშვილი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში — ზვიად შალამბერიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ხელმძღვანელი პირები.

კამპანიის ფარგლებში, ორი თვის განმავლობაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონში იმართებოდა საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებსაც ათასობით ადამიანი, მათ შორის მოზარდები სტუმრობდნენ.

ქუთაისში გამართულ ღონისძიებაზე მისულ ყველა სტუმარს საშუალება ჰქონდა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის, სასაზღვრო პოლიციის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ სივრცეებში გასცნობოდა აღნიშნული დანაყოფების საქმიანობას, ასევე, შეეძლოთ აღჭურვილობა და სპეცტექნიკა დაეთვალიერებინათ.

ღონისძიებაზე მისულ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში მიეღოთ მონაწილეობა.

კამპანიის ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიებების პარალელურად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების წარმომადგენლების 50-მდე ვიზიტი განხორციელდა სხვადასხვა სკოლაში. მოსწავლეებთან საინფორმაციო-შემეცნებითი შეხვედრები წლის ბოლომდე გაგრძელდება. შეხვედრების მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

საავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი:

უკრაინაში ომის უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა...

— ამის შესახებ საერთაშორისო საავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა, **ჯეიმს ჯონმა** განაცხადა, რომელიც საქართველოში იმყოფება.

ფონდის მისიის ხელმძღვანელმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ პანდემიიდან სწრაფი აღდგენის შემდგომ, საქართველოში იმატა ტურიზმიდან შემოსავლებმა, ომით გამოწვეულმა იმიგრაციამ და ფინანსური ნაკადების შემოდინებამ, ასევე საქართველოს გავლით სატრანზიტო ვაჭრობამ.

საავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელის ცნობით, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, ინფლაციის შემცირების გონივრული პოლიტიკა, ფისკალური და საავალუტო ბუფერების გაძლიერება და სტრუქტურული რეფორმების წინ წაწევა განამტკიცებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და გააძლიერებს ეკონომიკის მდგრადობას.

„პროდუქტიული განხილვების შედეგად, საქართველოს ხელისუფლება და სსფ-ს მისია, საქართველოში სსფ-ს მხარდაჭერით მიმდინარე პროგრამის პირველი მიმოხილვის დასრულებაზე შეთანხმდნენ, ტექნიკურ დონეზე, ეს შეთანხმება სსფ-ს ხელმძღვანელობის დასტურის შემდეგ, სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს განსახილველად ამა წლის დეკემბერში წარედგინება. ამ მიმოხილვის დასრულების შემდეგ საქართველოსთვის 30 მილიონი SDR (დაახლოებით 38 მილიონი აშშ დოლარი) ხდება ხელმისაწვდომი.

2022 წელს თვალნათელი იყო საქართველოს ეკონომიკის სიძლიერე, რადგანაც, დღეის მდგომარეობით, უკრაინაში ომის უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე ადრე მოსალოდნელზე ნაკლები აღმოჩნდა. პანდემიიდან სწრაფი აღდგენის შემდგომ, ტურიზმიდან მზარდმა შემოსავლებმა, ომით გამოწვეული იმიგრაციისა და ფინანსური ნაკადების შემოდინების ზრდამ, ასევე საქართველოს გავლით სატრანზიტო ვაჭრობის ზრდამ ქვეყნის ეკონომიკის ზრდასა და ფისკალური შემოსავლების მატება განაპირობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და ლარი გააძლიერა და სავალუტო რეზერვების დაგროვებას ხელი შეუწყო. დაკრედიტების ზრდა შენელდა, თუმცა ინფლაცია კვლავ მაღალ დონეზე ნარჩუნდება, სასაქონლო ჯგუფებზე ჯერ კიდევ მაღალი ფასებისა და ძლიერი შიდა მოთხოვნის გამო“, — აღნიშნა ჯეიმს ჯონმა.

პირველი არხი

განიხილეს ისრაელში ქართველთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის საკითხი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ აზარაშვილი საქართველოში ისრაელის ელჩს, ჰადას ესტერ მეიცადს შეხვდა.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. ისაუბრეს რეფერალური მომსახურების პროგრამის ფარგლებში საქართველოდან ისრაელში წასული პაციენტების მკურნალობაზე, გადაუდებელი მდგომარეობის დროს ეფექტიანი დახმარების სისტემის დანერგვასა და საქართველოში მაღალტექნოლოგიური ჩარევების დანერგვისთვის ადამიანური რესურსების გადამზადების შესაძლებლობებზე.

შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ისრაელი აქტიურად დაეხმარება საქართველოს, ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო კლინიკის მოწყობასა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებაში.

განიხილეს ისრაელის სახელმწიფოში, შრომის ბაზრის სხვადასხვა სექტორში, საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის საკითხიც. ისრაელის ახლად დანიშნულმა ელჩმა ჯანდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების მიმართ მხარდაჭერა და თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

15 ნოემბრამდე სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება!!!

დღეიდან 15 ნოემბრამდე სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ, თამარ გაბუნიამ განაცხადა.

„დღეიდან 15 ნოემბრამდე ვაქცინაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის. მათ შეუძლიათ მივიდნენ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, სადაც ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან და მკურნალობას იტარებენ, ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში. დაწესებულებების ზუსტი სია გამოქვეყნებულია დაავადებათა კონტროლის ცენტრის ვებგვერდზე.

მნიშვნელოვანია, რომ აცრა ჩატარდეს ახლა, რადგან მოსალოდნელ სეზონს მომზადებული შევხვდეთ“, — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

ქათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ალიანსი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association) Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

კონკურსში გამარჯვებულები საქართველოში უფასო მოგზაურობით დააჯილდოვეს

სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ავიაკომპანიასთან „FlyDubai“ თანამშრომლობით პრესტური გამართა. ინფორმაციას ტურიზმის ადმინისტრაცია ავრცელებს.

ტურის მოწყობამდე არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რადიო „Virgin Radio Dubai“ 24 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე საქართველოში უფასოდ მოგზაურობის შესახებ კამპანიას ატარებდა, პროექტის ფარგლებში რადიოს მსმენელებს შორის გამარჯვებულები გამოვლინდნენ. პროექტის 25 გამარჯვებული, ასევე ავიაკომპანიის „FlyDubai“ და რადიოს „Virgin Radio Dubai“ 9 წარმომადგენელი საქართველოს ეწვია. ტურის ფარგლებში პროექტის მონაწილეები თბილისს ეწვივნენ, დაათვალიერეს ძველი ქალაქი, გაემგზავრნენ უფლისციხეში, მოინახულეს მუხრანი, სადაც ტურის მონაწილეებისათვის ქართული კერძების მასტერკლასი გაიმართა.

„ჩვენ ავიაკომპანიასთან „Fly Dubai“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში ვმასპინძლობთ 25 ადამიანს სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან, რომლებიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რადიოს მეშვეობით შეირჩნენ კონკურსის საფუძველზე. ისინი საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს ეცნობიან, რაც საინტერესოა ამ ქვეყნებისთვის, შედეგად სპარსეთის ყურის ქვეყნებში გავრცელდება ინფორმაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. ეს კიდევ ერთი შესაძლებლობაა კიდევ უფრო მეტი ვიზიტორი მოვიზიდოთ ამ ქვეყნებიდან“, — განაცხადა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა მედეა ჯანიაშვილმა. ტურის ფარგლებში ავიაკომპანიის „Fly Dubai“ და რადიოს „Virgin Radio Dubai“ სოციალურ ქსელებში საქართველოს შესახებ ვიდეორგოლები და პოსტები გავრცელდება, რასაც მილიონობით ინტერნეტ მომხმარებელი გაეცნობა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ქართული ფილმი — კოტბუსის კინოფესტივალზე

საქართველოს პირველი არხის ფილმი „კაფსულა 1956“, რომლის რეჟისორი ამირან დოლიძეა, კოტბუსის კინოფესტივალზე მოკლემეტრაჟიანი ფილმების მთავარ საკონკურსო სექციაშია წარდგენილი.

ფილმი, რომლის პროდიუსერები კოტე ჯანდიერი და კახა ბუხრაშვილი არიან, საქართველოში ტელემაუწყებლობის 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა. კოტბუსის კინოფესტივალი (FFC) აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ფესტივალია, რომელიც გუშინ დაიწყო და 13 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება. ფესტივალი 1991 წელს დაფუძნდა, ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული კინოს გადაკვეთის წერტილია, ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნების კინოინდუსტრიის კავშირების ზრდას და განვითარებას.

ეს დანაშაულებრივი ქმედება უნდა შეწყდეს!!!

რომის პაპმა ფრანცისკემ ქალების წინადაცვეთის შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ ბრძოლა ქალების უფლებებისთვის, თანასწორობისა და შესაძლებლობებისთვის უნდა გაგრძელდეს.

პაპმა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას დანაშაული უწოდა. **„დღეს მსოფლიოში ჩვენ ვერ შევაჩერებთ ახალგაზრდა გოგონების წინადაცვეთას, რომელიც დიდი ტრაგედიაა. დღეს არის პრაქტიკა, რომლის შეჩერებაც კაცობრიობას არ ძალუძს. ეს დანაშაულია. ეს არის დანაშაულებრივი ქმედება და უნდა შეწყდეს“,** — აღნიშნა რომის პაპმა. ამასთან, პაპის თქმით, ღმერთმა შექმნა ორი თანასწორი ადამიანი — ქალი და კაცი.

2008 წლის მონაცემებით, 140 მლნ აფრიკელი წინადაცვეთილი ქალი ცხოვრობს. ეს პრაქტიკა გავრცელებულია ეგვიპტეში, სუდანში, ეთიოპიაში, ერიტრეაში, ჯიბუტიში, სომალისა და მალიში. ქალთა 80 %-ზე მეტი წინადაცვეთილია.

ლოთი მაიმუნი მაღაზიების ქარცვაზე გადავიდა

ინდოეთში, უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ რაე ბარელიში ალკოჰოლდამოკიდებული მაიმუნი მაღაზიებიდან სასმელს იპარავს. რამდენიმე შემთხვევაში მაიმუნმა ალკოჰოლური სასმელი მაღაზიიდან გამოსულ ადამიანებს გამოსტაცა.

ლუდის მსმელი მაიმუნის ვიდეო სოციალურ ქსელებში ვირუსულად გავრცელდა. მაღაზიების პერსონალი ამბობს, რომ მაიმუნისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ის აგრესიული ხდება. ადგილობრივი პოლიცია და სატყეო დეპარტამენტი მაიმუნის დაჭერას ცდილობენ.

კაცობრიობა კლიმატური ჯოჯოხეთისკენ მიდის!..

„ჩვენი სიცოცხლისთვის ვიბრძვით და ვმარცხდებით. ჩვენი პლანეტა სწრაფად უახლოვდება გარდატეხის წერტილს, რაც კლიმატის ქაოსს შეუქცევადს გახდის. ჩვენ კლიმატური ჯოჯოხეთისკენ მიმავალ გზატკეცილზე ვართ და ფეხი ჯერ კიდევ აქსელერატორზე გვაქვს მიბჯენილი“, — აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა.

„შესაძლებლობების ფანჯარა ღია რჩება, თუმცა სინათლის მხოლოდ ვიწრო სხივი რჩება. რაც შეეხება კლიმატისთვის გლობალურ ბრძოლაში გამარჯვებას ან მარცხს, ეს ამ ათწლეულში მოხდება. ერთი რამ ცხადია: ვინც დანებდება, აუცილებლად წააგებს“, — განაცხადა ანტონიო გუტერეშმა.

მეშვიდე, ყველაზე დიდი ჯეკპოტი — საფრანგეთში

საფრანგეთში კაცმა ლატარიაში EuroMillions 160 მილიონი ევრო მოიგო. საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ ლატარიის გათამაშების ისტორიაში, ეს უკვე მეშვიდე ყველაზე დიდი ჯეკპოტია. მანამდე, 2020 წელს ფრანგმა 220 მილიონი ევრო მოიგო. გამარჯვებულის ვინაობა არ სახელდება, მაგრამ ცნობილია, რომ მან მომგებიანი ბილეთი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შეიძინა.

პლასტმასჭამია რობოტი თევზი

მეცნიერებმა „რობო-თევზის“ კონცეპტი, რომელმაც სარის უნივერსიტეტის რობოტექნიკის კონკურსში გაიმარჯვა, რეალობად აქციეს.

„წყლის დაბინძურება, განსაკუთრებით პლასტმასით, უდიდესი პრობლემაა. ამით არა მხოლოდ ოკეანე, არამედ მდინარეები, ნაკადულები, ტბები და ტბორები იტანჯებიან. ეს გამოგონება კი ყველა პრობლემას მოაგვარებს“, — განაცხადა სარის საგრაფოს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის ბოლო კურსის სტუდენტმა და ამავე უნივერსიტეტის რობოტექნიკის კონკურსის გამარჯვებულმა ელეანორ მაკინტოშმა.

„რობო-თევზს აქვს ლაყუჩები, რომელსაც ცურვისას წყლის გასაფილტრად იყენებს. ნაკეთობა ორაგულის ზომისაა. თევზები გარემოსთან ადაპტირებულები არიან და მათი ლაყუჩები ბუნებაში საოცარი მექანიზმია, რომ წყალი ჟანგბადისგან გაფილტროს, ამიტომ ჩემი დიზაინი სწორედ ამ პრინციპით შევქმენი. რობო-თევზის ლაყუჩები მიკრო პლასტმასის გაფილტვრის პრინციპს მოვარგე“, — განაცხადა მაკინტოშმა. რობოტი წყალქვეშ თავისი კუდისა და ფარფლების დახმარებით მოძრაობს და მუდმივად პირი ღია აქვს, რომ მოახერხოს წყლისა და მიკროპლასტმასის დაჭერა. როდესაც ღრმული ივსება, რობოტი პირს ხურავს და ლაყუჩებიდან უკვე გაფილტრულ წყალს უშვებს, ხოლო პლასტმასის ნარჩენებს იტოვებს. 50 სანტიმეტრის სიგრძის რობო-თევზს უკვე შეუძლია მოძებნოს პატარა ზომის, 2 მილიმეტრიანი ზომის პლასტმასაც. ამჟამად არსებული პროტოტიპი დისტანციური მართვის პულტთანაა დაკავშირებული.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 10 ნოემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7340; ევრო - 2.7304
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1280;
100 რუბლი - 4.4551; თურქული ლირა - 0.1482;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6116;
1000 სომხური დრამი - 6.9070.

ამინდი 9 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	−2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	−3,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+19
მთიანი რაიონები -	ღამე	−1,	დღე	+16
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge